პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1976 ხუთშაბათი 1 აპრილი № 76 (16506) ფასი 2 კაპ. 1976

საწარმოებსა და პლანტაციებში

ჩაის პლანტაციებში საგაზაფხულო სამუშაოები გაჩაღდა. ბევრგან დასასრულს უახლოვდება ბუჩქების გასხვლა. ქობულეთის რაიონის ვ. ი. ლენინის სახელობის ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის მეჩაიეები ენერგიულად შრომობენ ჩაის ბუჩქების სხვლაზე. შეჯიბრებაში დაწინაურდა იზოლდა ვაშაყმაძე, რომელიც ბუჩქების გასხვლის ყოველდღიურ ნორმას ორმაგად ასრულებს.

ეს მოწინავე მეჩაიე სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდში დგას და პირობას იძლევა მოსავლელად მიჩენილი 0.5 ჰექტარი პლანტაცია სანმუშოდ დაამუშაოს და წლეულს სულ მცირე 5 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფოს.



სურათზე: ი. ვაშაყმაძე.
ნ. ანასტასიევის ფოტო

საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება საქართველოს სს რესპუბლიკაში ყინვით დაზიანებული ვენახების აღდგენისა და მდგომარეობის გაუმჯობესების საგანგებო ღონისძიებათა შესახებ.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მევენახეობის ძირითად რაიონებში მნიშვნელოვნად დაზიანდა ზვრები იმის გამო, რომ 1976 წლის თებერვალში მკვეთრად დაეცა ტემპერატურა (მინუს 18-26 გრადუსამდე), მანამდე კი თბილოდა, რამაც ადრე გამოაღვიძა ვაზი და დააქვეითა მისი ყინვაგამძლეობა.

სპეციალურ კომისიათა მონაცემებით, განსაკუთრებით დაზიანდა გურჯაანის, თელავის, ახმეტის, სიღნაღის, ყვარლის, საგარეჯოს, წითელწყაროს, გორის, ხაშურის, კასპის, მცხეთის, მარნეულის, ბოლნისისა და მთელი რიგი სხვა რაიონების კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ვენახები. წინასწარი გამოანგარიშებით, ყინვამ მეტ-ნაკლებად დაზიანა დასახლებული რაიონების 35 ათასი ჰექტარზე მეტი მსხმოიარე ვენახი, რის შედეგად მოსალოდნელია ყურძნის მოსავლის მნიშვნელოვანი შემცირება.

ასეთი მდგომარეობა ქმნის საფრთხეს, რომ რესპუბლიკა ვერ შეასრულებს ყურძნის წარმოებისა და დამზადების გეგმებს ვერც 1976 წლის და ვერც მომდევნო წლებში, თუ გადამწყვეტი ღონისძიებანი არ მივიღეთ ყინვით დაზიანებული ვენახების აღსადგენად და საფუძვლიანად არ გავუმჯობესეთ მათი მოვლა.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ყინვით დაზიანებული ვენახების უსწრაფესად აღდგენისა და მათი მდგომარეობის გაუმჯობესების და 1976 წლის მაქსიმალური მოსავლის მიღების ღონისძიებათა განხორციელებისადმი ოპერატიული ხელმძღვანელობის მიზნით შეიქმნა რესპუბლიკური კომისია.

სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტი და საქართველოს კომპარტიის რაიკომები აღმოსავლეთ საქართველოს ყინვით დაზარალებული რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოებს აღმასკომებთან და სოფლის მეურნეობის სამმართველოებთან ერთად მოვალენი არიან.

თვითეულ მეურნეობაში დაანუსტრუნ ვენახების დაზიანების დონე ნაკვეთების მიხედვით, შეიმუშაონ და განახორციელონ ვენახების აღდგენისა და მოვლის კონკრეტული ღონისძიებანი იმ რეკომენდაციათა შესაბამისად, რომლებიც შეიმუშავა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა;

შექმნან თვითეული რაიონში ოპერატიული შტაბები, რომლებშიც შევლენ ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და სოფლის მეურნეობის მუშაკები მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა მეთაურობით, და დააკისრონ მათ პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ დროულად და ხარისხიანად შესრულდეს დაზიანებული ვენახების აღდგენის სამუშაოები.

შეისწავლონ ვენახების მდგომარეობა საკარმიდამო ნაკვეთებში და ყოველნაირად დაეხმარონ მოსახლეობას ვენახების აღდგენაში შესაბამის რეკომენდაციათა თანახმად.

ცნობად არის მიღებული, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შეიმუშავა, გამოსცა და რაიონებსა და მეურნეობებს გაუგზავნა ყინვით დაზიანებული ვენახების აღდგენისა და მოვლის შესაბამისი რეკომენდაციები, რომ თვითეულ რაიონზე მიმაგრებული არიან სამინისტროს, შესაბამისი ტრესტების, გაერთიანებების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების წამყვან სპეციალისტთა ჯგუფები კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის მეთოდიკური და პრაქტიკული დახმარების გასაწევად.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინადადება მიეცა ყველაფერი იღონოს მაღალხარისხოვანი ხამყნობი მასალის შესარჩევად და გამოსაყენებლად, უზრუნველყოს ნამყენის წარმოების სამუშაოთა ორგანიზებული ჩატარება, სისტემატური კონტროლი გაუწიოს, რომ მაქსიმალურად იყენებდნენ სტანდარტულ კალმებს, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს სათბურებიდან ნამყენის დროზე გამოზიდვას. სანერგეებში მის გადარგვასა და მათ შემდგომ მოვლას, რათა უზრუნველყოს ნამყენის გამოსავლის გადიდება 45-50 პროცენტამდე.

საქართველოს სსრ ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარი საწარმოო სამმართველო მოვალეა უზრუნველყოს ელექტრენერგიის შეუფერებელი მიწოდება სამყნობ-სასათბურე (ელექტროსტრატიფიკაციული) მეურნეობებისათვის მყნობის სტრატიფიცირების ნორმალური რეჟიმის შექმნის მიზნით.

იმ მიზნით, რომ დავაკმაყოფილოთ რესპუბლიკის მოთხოვნილებანი ვენახების სპეციალურ ბოძებზე და გავადიდოთ მათი წარმოება, შინაგან საქმეთა სამინისტროს, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, მშენებლობის სამინისტროს, სასოფლო მშენებლობის სამინისტროს, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს, საავტომობილო გზების სამინისტროს, ცეკავშირის გამგეობას, ამიერკავკასიის „ტრანსმშენის“, „იუმშენის“, კავკასიის „ელექტროქსელმშენის“ ტრესტებს წინადადება ეძლევათ უზრუნველყონ, რომ 1976 წლის დამლევამდე დაამზადონ და სოფლის მეურნეობას მიაწოდონ 12,1 მილიონი რკინაბეტონის ბოძი, აქედან 5 მილიონი — მიმდინარე წლის 15 მაისამდე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარმა სამმართველომ უნდა უზრუნველყოს, რომ სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებიც რკინაბეტონის ბოძებს ამზადებენ, დროზე მიაწოდონ ცემენტი და ლითონი 1976 წლისათვის ამ მიზნით გამოყოფილი ფონდებიდან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 12 მარტის განკარგულების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი 1976 წლის 1 მაისამდე დაამზადებს 1.275 ათას ხის ბოძს ვენახებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „საქსოფლტექნიკამ“ უნდა დაამზადოს და დროზე გადასცეს სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებსაც რკინაბეტონის ბოძების დამზადება დაეგალათ, საჭირო რაოდენობის რკინის ყალიბები მათი წარმოებისათვის, აგრეთვე დაუყოვნებლივ შეუდგეს საშპალერე მავთულის გაცემას საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს განაწესით, რათა ყველა მევენახეობის რაიონს ჰქონდეს შესაძლებლობა გადაიყვანოს წელს ორ-სამწლიანი ვენახების ძირითადი ნაწილი შაალრზე;

უზრუნველყოს, რომ პირველ რიგში და შეუფერებლად მიეცეთ ყინვით დაზარალებულ რაიონებს მინერალური სასუქები, შხამქიმიკატები და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს განაცხადების თანახმად.

საწარმოო გაერთიანება „საქნავთობს“ და საქართველოს საწარმოო გეოლოგიურ სამმართველოს დაეკვალათ გადასცენ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს რაც შეიძლება მეტი ჩამოწერილი ამორტიზებული ფოლადის მილები.

საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს წინადადება ეძლევა განახორციელოს ღონისძიებანი რათა უზრუნველყოს, რომ მოლიანად მზად იყოს ყინვით დაზარალებული რაიონების სარწყავი სისტემები, და საჭირო დახმარება გაუწიოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შიდასამეურნეო სარწყავი ქსელის მოწესრიგებაში.

ცეკავშირის გამგეობა მოვალეა მოამზადოს მოსახლეობა, რომელსაც ვენახები აქვს საკარმიდამო ნაკვეთებზე, შხამქიმიკატებით, მინერალური სასუქებითა და ტექნიკური საშუალებებით, დამატებით შემოწიდოს რესპუბლიკაში 1976 წლის 1 მაისამდე გოგირდი, ცინები, ფოსფორორგანული პრეპარატები, აგრეთვე რკინაბეტონისა და ხის ბოძები საზოგადოებრივი მეურნეობებისა და მოსახლეობისათვის მისაყიდად.

მოწონებულია სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინადადებანი, და როგორც გამონაკლისი, ნებადართულია, რომ დაწესდეს დამატებითი მატერიალური სტიმულირება, რათა მალე აღადგინონ ყინვით დაზიანებული ვენახები, მაქსიმალურად შეინარჩუნონ ყურძნის მოსავალი, აგრეთვე მკვეთრად გაადიდონ სტანდარტული საძირე კალმებისა და ნამყენი ნერგების წარმოება.

სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშამოსამსახურეთა პროფკავშირების რესპუბლიკურმა კომიტეტმა, საქართველოს კომპარტიის რაიკომებმა და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებმა ფართოდ უნდა გაშალონ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, ბრიგადების, რგოლებისა და ცალკეული მუშაკების სოციალისტური შეჯიბრება ყინვით დაზიანებული ვენახების უსწრაფესად აღდგენისათვის. განსაზღვრონ ნახალისების სახეობანი და დაანესონ პირობები, რომელთა მიხედვით კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები დაჯილდოვდებიან სტაგირთო და მსუბუქი ავტომანქანებით, ხოლო ბრიგადები, რგოლები და წარმოების მოწინავენი — ფასიანი საშახსოვრო საჩუქრებით, დიპლომებითა და სხვ.

ცეკავშირის გამგეობას, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და აღმოსავლეთ საქართველოს მევენახეობის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს დაეგალათ საბაზრო ფონდიდან რიგგარეშე მიაყიდვისათვის გამოუყონ კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, რომლებიც განსაკუთრებით გამოიჩენენ თავს ყინვით დაზიანებული ვენახების აღდგენაში, ნამყენი ნერგების წარმოებასა და 1976 წელს მაქსიმალური რაოდენობის ყურძნის მიღებაში, 500 მსუბუქი ავტომანქანა, აქედან სანერგე მეურნეობათა მუშაკებს — 100 ავტომანქანა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტი, უურნალების, რესპუბლიკური, საოლქო და რაიონული გაზეთების რედაქციები მოვალენი არიან ფართოდ გააშუქონ საქართველოს სსრ და სხვა [illegible] რესპუბლიკების მოწინავე მევენახეთა [illegible] ვებისა, სისტემატური პროპაგანდა გაუწიონ პროგრესულ აგროტექნიკურ ხერხებს, რომლებიც ხელს უწყობენ ყინვით დაზიანებული ვენახების სწრაფად აღდგენასა და მათი მდგომარეობის გაუმჯობესებას.

რაიონულმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ პოლიტიკურ-ორგანიზატორული მუშაობა, რათა დარაზმონ კომუნისტები, სოფლის მშრომელები მევენახეობის შემდგომი განვითარების, 1976 წელს ყურძნის წარმოებისა და დამზადების გეგმების რეალიზაციის დავალებათა შესასრულებლად.

გადაწყდა 1976 წლის 15 მაისამდე მოისმინონ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში რესპუბლიკური კომისიის ინფორმაცია ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

(საქინფორმი).

საქმიან ვითარებაში

31 მარტს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეკონომიკის მინისტრი გ. ფრიდერიხსი, რომელიც საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის კომისიის მეექვსე სესიაზე.

გაიმართა საუბარი, რომლის დროს შეეხნენ საგარეო პოლიტიკის მთელ რიგ საკითხებსა და ორმხრივ და სრულიად ევროპის საფუძველზე ეკონომიური, მეცნიერულ-ტექნიკური და სამრეწველო თანამშრომლობის განვითარების პერსპექტივებს. ა. ნ. კოსიგინმა ჩამოაყალიბა საბჭოთა კავშირის პრინციპული პოზიცია სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

საუბარში საქმიან და კონსტრუქციულ ატმოსფეროში ჩაიარა.

ქეათე-ხარისხის, ეფექტიანობის-ხუთნლედი

17 აპრილიდან ლენინური შაბათობის დღეა

სამზადისი გააჩაღეს

ზესტაფონი. (საკ. კორ.). ლენინური შაბათობის ორგანიზებულად მოწყობის კარგი ტრადიცია აქვს ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივს წლევანდელი შაბათობისათვის აღრინდელზე უფრო დიდი სამზადისი გააჩაღეს მეტალურგებმა.

გათვალისწინებულია ამ დღეს იმუშაოს 3.500 კაცმა. გამოშვებული იქნება უმაღლესი მარკის პროდუქცია, გატანილი წიდებიდან ამოიკრიბება 25 ტონა ლითონი, შეგროვდება 200 ტონა ჯართი, ქარხნის ტერიტორიაზე დაირგვება 10 ათასი ძირი მცენარე. საშეფო დახმარებას გაუწევენ არგვეთის მექანიზაციობის საბჭოთა მეურნეობას. მეტალურგები გადაბარაცენ 5 ჰექტარ ვენახს.

შრომითი ნობათები

პირველი კვარტალის გეგმები შეასრულეს

□ **ბათუმი.** პურის მომლებმა საწარმომ მეათე ხუთწლედი დიდი ალმავლობით დაიწყო. პირველი კვარტალის დავალება 18 მარტს შეასრულეს.

სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის საწარმოს კოლექტივმა გადაწყვეტა წლეულს გამოუშვას და მეცხოველეობის ფერმებს გეგმის გადამეტებით მიაწოდოს 2.000 ტონა მაღალხარისხოვანი კომბინირებული საკვები და ადრე ნაყარი 20 ათასი მანეთის პროდუქციის ნაცვლად გეგმის გადამეტებით გამოუშვას 100 ათასი მანეთის პროდუქცია.

ეს რედაქციას აცნობა საწარმოს დირექტორმა **დ. ლეკვეიშვილმა.**

□ **ლენტეხი.** რაიონის მეცხოველეებმა ახალი წარმატება მოიპოვეს. 25 მარტისათვის დიდი გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმები. ხორცის დამზადების გეგმა შესრულებულია 152 პროცენტით, რძისა — 105,5 პროცენტით.

პირველი კვარტალის გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მიეყიდა 103 ცენტნერი ხორცი და 384 ცენტნერი რძე. დავალებები შეასრულა ყველა საბჭოთა მეურნეობამ და სამეურნეობათაშორისო მეურნეობამ. ეს „კომუნისტის“ რედაქციას აცნობა პარტიის ლენტეხის რაიკომის პირველმა მდივანმა **კ. კილაძემ.**

ლიდი პოპულარობით სარგებლობს კასპის ელექტროაპარატის ქარხნის პროდუქცია, რომელიც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში იგზავნება. ეს უფრო მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს საწარმოს კოლექტივს — მეათე ხუთწლედში მკვეთრად აამაღლოს პროდუქციის ხარისხი. ხარისხის ამაღლებისათვის ბრძოლაში აქტიურად ჩაებნენ ზეინკალი შალვა ნონიაშვილი და მემონტაჟე ელენე შარიაშვილი. მათ გადაწყვიტეს ვადამდე შეასრულონ 1976 წლის გეგმა.

სურათზე: ამწყობი ზეინკალი შ. ნონიაშვილი და მემონტაჟე ე. შარიკაშვილი.

ვ. მორგუნოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის პლენუმი

31 მარტს გაიმართა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის გაფართოებული პლენუმი, რომელზეც მოწვეული იყვნენ რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო, რაიონული და მრავალტირაჟიანი გაზეთების, ჟურნალების რედაქტორები, რესპუბლიკური გაზეთებისა და ჟურნალების სარედაქციო კოლეგიების წევრები და გასწყობილებათა გამგეები. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობებს, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტოს კოლეგიათა წევრები, ცენტრალური და რესპუბლიკური გაზეთების საკუთარი კორესპონდენტები, გაზეთებისა და ჟურნალების, რადიოსა და ტელევიზიის, საქინფორმის, საქმიანი ცხოვრების, პარტიულ ორგანიზაციათა მდივნები, ჟურნალისტთა პირველადი ორგანიზაციების მდივნები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის კათედრის წევრები და უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების უფროსი კურსების სტუდენტები.

მოხსენება „სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი და საქართველოს ჟურნალისტთა ამოცანები“ გააკეთა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორმა **დ. მშვედლიშვილმა.**

კამათში მონაწილეობდნენ გაზეთ „ეფსონი ყაფშის“ რედაქტორი, აფხაზეთის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე **ხ. ქვაციანი,** გაზეთ „ზარია ვოსტოკის“ რედაქტორის მოადგილე **ზ. ბერიძე,** გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ რედაქტორი, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გაწყოფილების ბიუროს თავმჯდომარე **შ. ჭურაძე,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ი. მესხიშვილი,** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის კათედრის გამგე **დ. გამეზარდაშვილი,** ჟურნალ „პიონერის“ მთავარი რედაქტორი **ბ. შელი,** თბილისის ფოლადთუჯამსხმელო ქარხნის მეკოპეთა ბრიგადირი, სოციალისტური შრომის მეგრელი, სკკპ XXV ყრილობის დელეგატი **გ. კურტანიძე,** გაზეთ „ლენინაკანი ზნამიას“ რედაქტორი **ა. კირიუხინი,** გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორი **ვ. ჭელიძე,** სახელმწიფო გამომცემლობა „განათლების“ რედაქტორი **ე. გიორგაძე,** გაზეთ „სოვეტონ ირისთონის“ რედაქტორი, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის საამბრო ოსეთის განყოფილების ბიუროს თავმჯდომარე **პ. თედეევი.** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **გ. თავგამაშვილი.**

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ე. შევარდნაძემ.**

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. სირაძე.**

პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილება.

შეკრებილთა ტაშის გრიალში მიიღეს წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ **ლ. ი. ბრეჟნევისადმი.**

(საქინფორმი).

საბჭოთა პოლიტიკის დამახინჯების წინააღმდეგ

ახლახან, როგორც უკვე ვიუწყებოდით, ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტმა სადათმა განახორციელა ცალმხრივი აქცია და გამოაცხადა, რომ წყვეტს სსრ კავშირისა და ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის მეგობრობისა და თანამშრომლობის 1971 წლის ხელშეკრულების მოქმედებას. ამავე დროს ეგვიპტეში გაჩაღდა ღონისძიანი ანტისაბჭოთა კამპანია — მიმართულებ ცდებს დაამახინჯონ საბჭოთა კავშირის პოზიცია ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის მიმართ, დაბრალონ მას ეგვიპტის უკანასკნელი წლების პოლიტიკის მარცხი.

ა. წ. 31 მარტს სსრ კავშირის კაიროს საელჩომ ამის გამო ეგვიპტის მხარეს გადასცა საბჭოთა მთავრობის განცხადება.

განცხადებაში გადაჭრით არის დაგმობილი ეგვიპტის ოფიციალური წრეებისა და პრესის წარმომადგენელთა მტკიცებები, მოყვანილია ფაქტები, რომლებიც მოწმობენ საბჭოთა კავშირის თანამიმდევრულ და პრინციპულ, მეგობრულ პოლიტიკას ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის, ეგვიპტელი ხალხის მიმართ.

საბჭოთა კავშირ-ეგვიპტის ხელშეკრულების დადების სუფრელი არა ერთხელ გამოუთქვამს პრეზიდენტ ნასერს საბჭოთა ხელმძღვანელებთან საუბრების დროს. სწორედ პრეზიდენტმა სადათმა განაცხადა ოგრეთვე 1971 წელს ეგვიპტის სახალხო კრებაში: „მე ვისწრაფვოდი საბჭოთა კავშირთან ხელშეკრულების დადებას ჩვენი მომავლის, ჩვენი შთამომავლების საკეთილდღეოდ“.

ხელშეკრულებას უნდა განემტკიცებინა საბჭოთა კავშირის ურთიერთობა ეგვიპტესთან — სახელმწიფოთაშორის, რომელიც განთავისუფლდა იმპერიალისტური მორჩილებისაგან და მიზნად დასახა ბრძოლა თავისი სუვერენიტეტისა და ეკონომიური დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის, სოციალური პროგრესისათვის.

ანტიიმპერიალისტური ბრძოლისა და ხალხთა თავისუფლებისათვის საბჭოთა კავშირ-ეგვიპტის მეგობრული თანამშრომლობის ორ ათწლეულზე მეტი ხნის მანძილზე, ნათქვამია განცხადებაში, საბჭოთა კავშირმა დიდი დახმარება გაუწია ეგვიპტეს ეკონომიკის განვითარებაში. თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ ამ ბოლო წლების მანძილზე ეგვიპტის ხელმძღვანელობამ დაიწყო უკან დახევა საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობის პოლიტიკისაგან, საბჭოთა კავშირ-ეგვიპტის ხელშეკრულების პრინციპებისაგან. ეს ამჟამად გამოჩნდა ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის მოწესრიგებასთან დაკავშირებულ საკითხებში. ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის ხელმძღვანელთა მიერ ეგვიპტელი ხალხის ნამდვილი მეგობრებისაგან მალულად, აგრესორის წინააღმდეგ მებრძოლი სხვა არაბული ქვეყნების ზურგს უკან ისრაელთან დადებულმა სეპარატულმა გარიგებებმა ფაქტიურად გარიყეს ეგვიპტე ოკუპირებული არაბული მიწების განთავისუფლებისათვის ბრძოლის ფრონტიდან.

ეგვიპტის ხელმძღვანელობა ცდილობს გაამარჯოს აგრესორთან და მის მფარველებთან გარიგებათა პოლიტიკა და დაადგა ყოველივე „იმის დამახინჯების გზას, რაც დაკავშირებულია სსრ კავშირთან თანამშრომლობასთან, განსაკუთრებით საბრძოლო დარგში. ამასთანავე საყოველთაოდ ცნობილია, რომ სწორედ საბჭოთა იარაღის მიწოდების წყალობით შეძლეს ეგვიპტის შეიარაღებულმა ძალებმა წინააღმდეგობა გაეწიათ ისრაელი აგრესორისათვის ხანგრძლივი დროის მანძილზე ბიეწლიათ წარმატებისათვის 1973 წლის ოქტომბრის ბრძოლების დროს.

ეგვიპტის ხელმძღვანელობას თავისი ხალხი და მსოფლიო საზოგადოებრიობა შეცდომაში შეჰყავს ეგვიპტესთან საბჭოთა კავშირის საფინანსო-საკრედიტო ურთიერთობის საკითხებშიც. ამავე დროს, ითვალისწინებდა რა ეგვიპტის თხოვნას, საბჭოთა მხარეს არაერთხელ გადაუსინჯავს არსებული შეთანხმებანი და მნიშვნელოვნად გაუხანგრძლივებია კრედიტებისათვის ანგარიშსწორების ვადა.

სულ ახლახან, აღნიშნულია განცხადებაში, საბჭოთა მხარემ ელვა გამოიჩინა ყველა დარგში თანამშრომლობის კეთილი ნება.

საბჭოთა მთავრობის განცხადებაში აღნიშნულია, რომ ზოგ-ზოგები ეგვიპტეში ცდილობენ თავი ისე დაიჭირონ, თითქოს საბჭოთა კავშირ-ეგვიპტის ხელშეკრულების დარღვევით საბჭოთა კავშირისა და ეგვიპტის ურთიერთობას და საერთოდ ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობას არაფერი დაუშავდება. მაგრამ ასეთი თვალსაზრისი სრულიად არ შეესაბამება სინამდვილეს.

ეგვიპტის ახლანდელი ხელმძღვანელობის პოლიტიკა ეწინააღმდეგება ეგვიპტელი ხალხის, სხვა არაბული ქვეყნების ხალხების ნამდვილ ინტერესებს. ამგვარი კურსი არსებითად აძნელებს ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის სამართლიანი მოწესრიგების მიღწევას, ასუსტებს არაბული სახელმწიფოების ღონისძიებებს, რათა მიაღწიონ ისრაელის მიერ ოკუპირებული არაბული ტერიტორიების „ბლანკეტურ“ წესებს. „ჩვენი კეთილდამთავრებული მასწავლებელია“ (ტატუდენტური წესები). „ჟიშარის აღმართვა“ (ფილეტონი), „მშვენებლებს დაეხმარეგა“ (გამოფენა).

გაზეთის ფურცლებზე უხვად ქვეყნდება „პრავდის“ და საკავშირო კორესპონდენტების მიერ გადმოცემული საერთაშორისო ინფორმაცია.

მეექვსე გვერდზე დაბეჭდილია ფოტო და ცნობა, რომ ბათუმის დელეგინარიუმში გაჩნდა ახალი მოსახლე — პინგვინი მიკი, რომელიც მებადურებს სამხრეთის განედების სარეწავიდან ჩამოუყვანიათ.

ამიფრინავს „კოსმოს-811“

1976 წლის 31 მარტს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-811“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას.

აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკდესი).

გაზეთი „განახლებული აბაშის“ რედაქტორის მოადგილე.

31 მარტი

„პრავდის“ ფურცლებზე

ზრომის ნაყოფიერება სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი აღმავლობის, ჩვენი სოციალისტური ეკონომიკის ზრდისა და საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესების მთავარი ფაქტორია.

„ზრომის ნაყოფიერების ზრდის დაჩქარება — წერს ბ.კოთბეული ბევრ საყურადღებო სტატიას, წერილს, კორესპონდენციას და ინფორმაციას ნახავს: „ძალაკაკოიის ზეგრი“ (პარტიული ცხოვრება), „ერამალის ხოდაბეზის ძალა“ (ყამირი: მესამე ათწლეული), „რესპუბლიკის სახელით“ (11 აპრილს სახალხო მოსამართლეების არჩევნების დღეა), „ჩვენი კეთილდამთავრებული მასწავლებელია“ (სტუდენტური წერები). „ჟიშარის აღმართვა“ (ფილეტონი), „მშვენებლებს დაეხმარეგა“ (გამოფენა).

ფოტო ცნობა

PRAVDA

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

„სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს შევასრულებთ!“ — საკავშირო კომკავშირული კრების რესპუბლიკურ კომკავშირულ ორგანიზაციაში მოწყობის შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწვინა საქართველოს ახალგ. ცენტრალური კომიტეტის წინადადება, რომ სრულიად საკავშირო ალკგ ცენტრალური კომიტეტის V პლენუმის დადგენილების შესაბამისად 2-დან 10 აპრილამდე რესპუბლიკის კომკავშირულ ორგანიზაციებში გაიმართოს საკავშირო კომკავშირული კრება — „სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს შევასრულებთ!“.

საქართველოს კომპარტიის სპოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, პირველად პარტიულ ორგანიზაციებს წინადადება მიეცათ საჭირო დახმარება გაუწიონ რესპუბლიკის კომკავშირის კომიტეტს საკავშირო კომკავშირული კრების მაღალ ორგანიზაციულ და პოლიტიკურ დონეზე მოწყობაში, იმაში, რომ თვითეულმა კომკავშირულმა ორგანიზაციამ განსაზღვროს კონკრეტული ამოცანები სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის შემდგომი გაძლიერებისათვის. როგორც დადგენილებაშია აღნიშნული, კრებამ ყოველმხრივ უნდა შეუწყოს ხელი ახალგაზრდობის კიდევ უფრო აქტიურ და შეგნებულ მონაწილეობას კომუნისტურ მშენებლობაში, კომკავშირელთა და ახალგაზრდობის მასობრივი, პატრიოტული მოძრაობის განვითარებაში, დევიზით „ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედს — ახალგაზრდობის ენთუზიაზმი და შემოქმედება!“.

საკავშირო კომკავშირულ კრებაში მონაწილეობას მიიღებენ სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის დელეგატები, სამჭოთა, პროფკავშირული, სამეურნეო ხელმძღვანელები, პარტიისა და შრომის ვეტერანები, ახალგაზრდობის დამრიგებლები.

რესპუბლიკური, სოფლის, საქალაქო და რაიონული გაზეთების რედაქციები, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტი ვალდებული არიან ფართოდ გააშუქონ საკავშირო კომკავშირული კრების მიმდინარეობა, აქტიურად გაუწიონ პროპაგანდა კომკავშირული ორგანიზაციების, კომკავშირულ-ახალგაზრდული კოლექტივების მუშაობის გამოცდილებას, ქალაქშვილებისა და ჭაბუკების წარმატებებს შრომასა და სწავლაში.

(სიჭინფორმი).

ვიმუშაოთ უკეთ, მივაღწიოთ მეჯს!

ერთი შახტის ლია პარტიულ კრებაზე

საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის ფლაგმანს უწოდებენ ტყიბულის სამადოს — იმ შახტს, რომელიც ვ. ი. ლენინის სახელს ატარებს. მოწინავე საწარმოს არაერთხელ უსახელებია თავი შემოქმედებითს შრომაში. შახტის კოლექტივმა ორი თვით ადრე უპატაჯა სამშობლოს საკოქსე ქვანახშირის მოპოვების მეცხრე ხუთწლიანი გეგმის შესრულება. აქ კარგი სტარტი აიღეს მეათე ხუთწლედის პირველი დღეებიდანვე, ამინდის ცუდი პირობებით შექმნილი ძძიმე მდგომარეობის მიუხედავად იანვარ-თებერვლის სახელმწიფო გეგმა შესრულდა. შახტის კოლექტივი განსაკუთრებული ენთუზიაზმით შრომობდა სკკპ XXV ყრილობის დღეებში. მეშახტეები დღესაც ინარჩუნებენ იმ შრომითს რიტმსა და სულიერ განწყობას, რაც ყრილობისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრების დროს დამკვიდრდა.

ასეთ ვითარებაში საწარმოს სამაზე მეტი კომუნისტი და უპარტიო აქტივისტი შეიკრიბა ამ დღეებში ღია პარტიულ კრებაზე. განიხილავდნენ დღევანდელი დღის ყველაზე აქტუალურ საკითხს — სკკპ XXV ყრილობის შედეგებს და შახტის პარტიული ორგანიზაციის ამოცანებს.

კრებაზე ცხოველი ინტერესი გამოიწვია პარტიული კომიტეტის მდივნის ა. ქოჩიაშვილის მოხსენებამ.

იგი შეეხო უკანასკნელი წლების მანძილზე ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრებაში მომხდარ დიდ ძვრებს, შრომითი კოლექტივის ბრძოლას ქვანახშირის ამოღების სახელმწიფო დავალების შესრულებისათვის, პროდუქციის მკეთრი ამაღლებისათვის. საწარმოს კოლექტივმა უკანასკნელ წლებში არათუ წარმატებით ითვისა შახტის საპროექტო სიმძლავრე, არამედ მნიშვნელოვნადაც გადააჭარბა მას. გადიდდა თვითეული მუშის შრომის ნაყოფიერება, შემცირდა მოპოვებული ქვანახშირის თვითღირებულება, ამაღლდა მუშათა და იჟენერ-ტექნიკოსთა საშუალო ხელფასი. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი.

შახტის კოლექტივი აქტიურად ჩაება საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, რომელიც გაჩაღდა ლოზუნგით — „ავამაღლოთ წარმოების ეფექტიანობა და მუშაობის ხარისხი“. მაგრამ აქ ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ქვანახშირის მოპოვების გეგმა ყოველდღე რიტმულად, ყოველგვარი ეერიშის გარეშე შესრულდეს. შახტში ამ მხრივ საქმე კარგად ვერ არის. დღისათვის აქ არსებული 8 საექსპლოატაციო უბნიდან ქვანახშირის მოპოვების გეგმას მხოლოდ სამი ასრულებს, დანარჩენი 5 უბანი კი ჩამორჩენილია.

შახტის ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსმა, კომუნისტმა ჭალმა ვ. ვაშაკიძემ თქვა:

— მეათე ხუთწლედ ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედია. რა კეთდეს ჩვენთან ამ პრობლემების გადასაჭრელად? ბოლო ხანებში ერთგვარი ღონისძიებანი განხორციელდა მონგრეული ქვანახშირის ხარისხის გასაუმჯობესებლად, მაგრამ როგორც მდგომარეობის ანალიზი გვიჩვენებს, ამ მხრივ ძირფესვიან გარდატეხას მაინც ვერ მივაღწიეთ და პირდაპირ საგანგაშო მდგომარეობა შეიქმნა. მაგალითად, მარტო წლეულს ორ თვეში ნაკრიანობის სახელმწიფო სტანდარტის დარღვევისათვის მომხმარებელმა — ქვანახშირის გამამდიდრებელმა ფაბრიკამ დაიწუნა ჩვენს მიერ მიწოდებული 7.355 ტონა ქვანახშირი. ხოლო ზედმეტი ტენიანობისათვის ჯარიმის სახით გადაგვახდევინა 32 ათას მანეთზე მეტი. ხარისხის გაუარესების ფაქტებს მარტშიც აქვს ადგილი. ეს რომ არ განმეორდეს, დამატებით ბევრი ტექნიკურ-ორგანიზაციული ღონისძიების განხორციელება იქნება საჭირო. პირველ რიგში უნდა ამაღლდეს შრომის დისციპლინა და პერსონალური პასუხისმგებლობა.

სიტყვით გამოსულმა კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა, ნოვატორმა მეშახტემ ო. ბერეგაძემ თავისი ბრიგადის წევრთა სახელით მოიწონა ყრილობის გადაწყვეტილებანი და იკისრა. ახალი გადიდებული ვალდებულებანი.

კრების მონაწილეთა შორის ცხოველი ინტერესი გამოიწვია ცნობილი კომუნისტი მეშახტის, პარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრის სპ. ბერაკაიას გამოსვლამ. მან ყურადღება გაამახვილა მეშახტეთა ახალი კადრების მომზადებისა და აღზრდის საკითხებზე.

კამათის მონაწილეებმა — პირველი უბნის უფროსმა ნ. ბურჯანაძემ და მნგრეველმა შ. სანთელაძემ მოითხოვეს ცუდი მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებით გამოწვეული ხელშემშლელი მიზეზების აღმოფხვრა.

შახტის დირექტორმა ვ. პატარიძემ კრებაზე დაწერილებით ილაპარაკა საწარმოს შემდგომი განვითარების, სამუშაო ფრონტის გადიდების, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების და მუშაობის ახალი ტექნოლოგიის დანერგვის ღონისძიებებზე.

ღია პარტიული კრება წარიმართა იმ სულისკვეთებით, რომ ლენინის სახელობის შახტის პარტიული ორგანიზაცია, მისი ბიურო მტკიცედ დარაზმავს მთელ კოლექტივს მეათე ხუთწლედის დავალებათა შესასრულებლად, სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად.

ვ. ცირეკიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სრულვყოთ პროკურატურის ორგანოების საქმიანობა

საქართველოს სსრ პროკურატურის საპროკურორო-საგამოძიებო ორგანოების მუშაკთა რესპუბლიკურმა თათბირმა განიხილა რესპუბლიკის პროკურატურის 1975 წლის მუშაობის შედეგები და მისი ამოცანები სკკპ XXV ყრილობის და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ პროკურორის პირველმა მოადგილემ ლ. ფალავანძემ. საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს აქარის ასსრ პროკურორმა გ. ბორჩხაძემ, ქალაქ თბილისის პროკურორმა ვ. ტრაზმაძემ, ქალაქ რუსთავის პროკურორმა ა. ჩხატარაშვილმა, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებლო სამმართველოს უფროსმა მ. ჯაფარიძემ, რესპუბლიკის პროკურატურის განყოფილების უფროსმა გ. ციბამუამ და გურჯაანის რაიონის პროკურორმა ლ. დეღაშვილმა.

თათბირზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციულ ორგანოთა განყოფილების გამგის მოადგილე გ. ტყეშელაძე.

თათბირზე შეიმუშავეს კონკრეტულ ღონისძიებათა კომპლექსი, რათა ყოველნაირად ამაღლდეს დატაცების, უყირათობის, სახელმწიფო დისციპლინის დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოების საქმიანობის ღონე. (საქინფორმი).

სკკპ და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში!

კადრებს გაფრთხილება უნდა, ნდობას — გამართლება!

ხალხი უტყუარი ბარომეტრია. იგი ყველაზე უკეთ ხედავს ხელმძღვანელის უნარს, საერთო საქმის ერთგულებას. ამ ბოლო ხანს სულ უფრო ხშირად ისმის კმაყოფილების სიტყვები ოლქის პარტიული ხელმძღვანელობის მისამართით. ეს ცხადყოფს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სწორ კურსს — საპასუხისმგებლო პოსტებზე დაწინაურებულ იქნენ კეთილსინდისიერი, საქმიანი, ლენინური სტილის ახალგაზრდა მუშაკები.

სულ რაღაც ორ წელიწადნახევარია, რაც პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო ორგანიზაციას სათავეში ჩაუდგნენ ახალგაზრდა პარტიული მუშაკები. მათ აქვთ სახალხო მეურნეობის მართვის, ადამიანებთან მუშაობის საკმაო გამოცდილება და ამტარებაც შეძლეს გასძღოლოდნენ მასებს, წინ წაეყვანათ ადრე თვითდენებაზე მიშვებული საქმე.

პარტიის საოლქო კომიტეტს მოუხდა შეუპოვარი ბრძოლა ყოველგვარი სახის ნეგატიურ მოვლენებთან, უპატიოსნო ელემენტებთან, რომლებიც ხაკმაოდ მომრავლდნენ ხელმეჩვეულობის, განუკითხაობის, მექრთამეობისა და პროტექციონიზმის ატმოსფეროში, რაც ოლქში მრავალი წლის მანძილზე სუფევდა და უარყოფითად მოქმედებდა არა მარტო შრომის დისციპლინაზე, არამედ მორალურ-ფსიქოლოგიურ კლიმატზეც. მისი გაჯანსაღება კი აუცილებელი იყო. ამიტომ ახლმა ხელმძღვანელობამ მთელი ძალა და ენერგია აქეთკენ წარმართა.

გულმართალი, პატიოსანი კაცი უძლეველია. ამიტომაც შეძლეს დაეთრგუნათ ხელმრუდენი, გაიძვერები და საზოგადოებრივი დოვლათი ხალხის სამსახურში ჩაეყენებინათ.

ოლქის პარტიულმა ხელმძღვანელებმა, რომლებისთვისაც უცხოა სუბიექტივიზმი, რომლებიც გამსჭვალული არიან ყველა ხაზოგადოებრივი პროცესისადმი მეცნიერული მიდგომით და მომთხოვნელობას იჩენენ საკუთარი თავისა და სხვებისადმი, პარტიულ აქტივზე დაყრდნობით შეძლეს დასახული მიზნის მისაღწევად წარემართათ მშრომელთა მთელი შემოქმედებითი ძალები.

ბარინი, ახორციელებენ რა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებებს კადრების შერჩევის, აღზრდისა და განაწილების შესახებ, სისტემატურად ზრუნავენ მათზე, სწავლობენ ადამიანთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს. აქ პასუხსაგებ პოსტებზე თამამად აწინაურებენ ახალგაზრდა, პატიოსან მუშაკებს, რომლებიც ფლობენ ხელმძღვანელობის თანამედროვე მეთოდებს.

ლენინგორის რაიონში და მთელ ოლქში ახლა ყველა პატივისცემით ახსენებს უკანმხარის კოლმეურნეობა „საქართველოს“ თავმჯდომარის, ახალგაზრდა სპეციალისტის იორამ ბაშარულის სახელს. მან იპოვა გზა ადამიანთა გულისა და გონებისაკენ. ერთსულოვნად დარაზმა ისინი საზოგადოებრივი მეცხვარეობის განვითარებისათვის. შარშან უკანმხარში შეძლეს შრომადღეზე ვნიდ მანეთამდე ფულის განაწილება, ცხვრის სულადობის ზრდისა და საერთოდ მეცხოველეობის დარგში 1975 წელს მიღწეული წარმატებებისათვის მოიპოვეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სხრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკგ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. უკანმხარელები ახლა წარმატებით ამთავრებენ დოლს და იმედი აქვთ, რომ მეცხვარეობაში წელსვე მიაღწევენ ხუთწლედით დასახულ მიჯნას. ლენინგორის რაიონის ეკონომიკის განვითარებისათვის თავდადებით იღვწოს ახალგაზრდა პარტიული მუშაკი, პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ნუგზარ ოდიშელი. ორი წელია იგი ლენინგორის რაიონის პარტიულ ორგანიზაციას უდგას სათავეში და ორივე წელს რაიონი სოციალისტურ შეჯიბრებაში ოლქში გამარჯვებული გამოვიდა. უკანასკნელ ორ წელიწადში რაიონში 18 ათასი სულით გაიზარდა ხაზოგადოებრივი ცხვრის რაოდენობა. ახლა ისინი იბრძვიან მეცხვარეობის ინტენსიური განვითარებისათვის სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის გზით.

პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტი თავაზიანად მიეცა ზოგიერთ ძველ მუშაკს, გაითვალისწინეს რა მათი დამსახურება, გამოცდილება და ენერგია, იმ იმედით რომ თავიანთ მუშაობას გარდაქმნიდნენ თანამედროვე მოთხოვნების მიხედვით, ისინი დატოვეს მაღალ თანამდებობებზე. ერთხანს ეს მუშაკები თითქოს მოთხოვნების დონეზე ადგომჩნდნენ, მაგრამ მალე გაჩარა მოჩვენებითი ცეცხლი, იფიქრეს, ქარიშხალმა გადაიარაო და ისევ ძველი სტილით განაგრძობენ მუშაობას. ახე მაგალითად უინიციატიოვოდ, საქმისადმი გულგრილ დამოკიდებულებაში გაპაყვეთ დღეები საოლქო საგეგმო განყოფილების მუშაკებს და ამ განყოფილების გამგეს ზ. გასიევს. ამიტომაც არის, რომ საოლქო საგეგმო განყოფილებაში არა აქვთ ოლქის სახალხო მეურნეობის, მისი დარგობრივი განვითარების უახლესი და პერსპექტიული გეგმები.

თანამედროვეობის მოთხოვნებს ასევე მხარს ვერ უსწორებს ოლქის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი გ. ტოჩიევი. მოსალოდნელი იყო, რომ იგი მთელ თავის გამოცდილებას მოახმარდა ოლქის სოფლის მეურნეობის აღმავლობას, მაგრამ საქმე გვიჩვენებს, რომ იგი ვერ უზრუნველყოფს რაიონული სამმართველოებისადმი ხელმძღვანელობას, კრიტიკულად არ უდგება საკუთარ მოღვაწეობას, ვერ წარმართავს ოლქის სოფლის მეურნეობის განვითარებას და ყოველგვარ ნაკლოვანებას ხელქვეთებს აბრალებს.

ასევე შემწყნარებლად მოეკიდნენ უინიციატივო, ხელმძღვანელობის უნარს მოკლებულ მაგრამ ერთ დროს შუმთხვევით მაღალ პოსტზე მოხვედრილ უ. ხანიკაევს. ძველი ხელმძღვანელობის პერიოდში წლების მანძილზე მას მაღალი პოსტი ეკავა, პარტიის ჯავის რაკომის პირველ მდივნად მისი მუშაობის პერიოდი სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდებოდა. ჩამორჩა ამ რაიონის ეკონომიკა, რაიონში ფეხი მოიკიდა ნეგატიურმა მოვლენებმა. მაგრამ იგი მაინც მოხვდა სამხრეთ ოსეთის ხახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე და აქაც თვითდინებაზე მიუშვა საქმე. ხუროად მოიქცა პარტიის საოლქო კომიტეტი, როცა იგი გადაიყვანა უფრო დაბალ თანამდებობაზე.

კადრებისადმი ლოიალურ, შემწყნარებლურ დამოკიდებულებას ადგილი აქვს პარტიის ცხინვალის საქალაქო კომიტეტშიც. ამის შედეგად უინიციატივო ამხანაგები, რომლებსაც არ შეხვედრა ხელმძღვანელობის უნარი, ახერხებენ შეინარჩუნონ ხაპასუხისმგებლო პოსტები, ან ახლად მოიპოვონ ისინი. ახე, მაგალითად, ცხინვალში ყველა იცნობს პ. ჯიოევს. იგი საქალაქო ხაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ მუშაობდა. ცნობილი იყო მისი უხეშობა და საქმისადმი ზერელე, მშრომელებისადმი გულგრილი დამოკიდებულება. მისი ხელმძღვანელობის წლებში მოიშალა ქალაქის მეურნეობა, ადგილი ჰქონდა ბინების არასწორ განაწილებას. პრესაშიც რამდენჯერმე დაიწერა საქალაქო ხაბჭოს აღმასკომის მუშაობის მანკიერ სტილზე.

პარტიის საოლქო კომიტეტის ბიუროომ შეუთავსებლად ცნო მისი პიროვნება ამ თანამდებობაზე. იგი დაინიშნა ტრესტ „სამხრეთოსგაზის“ მმართველად. იფიქრეს ხელმძღვანელობა დაბალ თანამდებობას გაუძღვებოდა. ბ. ჯიოევმა, რასაკვირველია, ვერ ... ოდა გაზის მეურნეობაში, ისარგებლა პარტიის ცხინვალის საქალაქო კომიტეტის ხელმძღვანელობის ლოიალობით, გადავიდა ცხინვალის ხილ-ენკროვანი წვენების ქარხნის დირექტორად.

პარტიის ცხინვალის საქალაქო კომიტეტის ხელმძღვანელობასთან ცნობილი იყო ცხინვალის საკონსერვო ქარხნის ჩავარდნები, როცა მას ხელმძღვანელობდა გ. ... ოდიკაძე. გაზეთი „ხაბეჭოთა ოსეთი“ არაერთხელ გამოვიდა სიგნალით საკონსერვო ქარხანაში არსებულ დარღვევათა გამო. ბოლოს, როგორც იქნა გ. ოდიკაძე გაათავისუფლეს სამუშაოდან. მაგრამ მაინც გაახერხა დაეკავებინა შრომითი რესურსების განაწილების გამგის, პოსტი ცხინვალის საქალაქო ხაბჭოს აღმასკომში.

კადრების შერჩევა „ნიფაქნეზეს, პრინციპულობას, ფხიზელ თვალსა და გამჭრიახობას მოითხოვს. განსაკუთრებული ზრუნვა გვმართებს მაინ პოლიტიკური ცოდნის დონის ამაღლებისათვის.

ხელმძღვანელ კადრებს დიდ მოთხოვნებს უყენებს თანამედროვე ცხოვრება. როგორც არის ხელმძღვანელი, ისე მიდის საქმეც. თანამედროვე ხელმძღვანელის პიროვნებაზა კი, როგორც ამბ. ლ. ი. ბრეჟნევი ამბობს, ორგანულად უნდა იყოს შერწყმული პარტიულობა და ღრმა კომპეტენტურობა, დისციპლინა და საქმისადმი ინიციატივიანი, შემოქმედებითი მიდგომა, ამავე დროს ყოველ უბანზე ხელმძღვანელი მოვალეა გაითვალისწინოს სოციალურ-პოლიტიკური, ... ტენდენციები, ... ადამიანებისადმი მოთხოვნილებანი და მოთხოვნილებანი. ... ადამიანის ... ცხოვრებაში.

მოთხოვნები ხელმძღვანელი კადრებისადმი ნათლად არის ჩამოყალიბებული სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებში. ახლა, როცა სამხრეთ ოსეთის პარტიულ ორგანიზაციებში გულისყურით სწავლობენ ყრილობის დოკუმენტებს, კომუნისტები პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებზე თუ პირად ხაუბრებში მიუთითებენ ამბ. ლ. ი. ბრეჟნევის ხაანგარიშო მოხსენების იმ ადგილზე, სადაც ნათქვამია: „პარტიული ხელმძღვანელი ვერ იქნება ის, ვინც კარგავს თავისი საქმიანობის კრიტიკული შეფასების უნარს, ვინც მოსწყდა მასებს, ვინც ამრავლებს პირფერებსა და მლიქნელებს, ვინც დაკარგა კომუნისტების ნდობა“. ასეთად ისინი ახასიათებენ საქართველოს სსრ დამზადების მინისტრის მოადგილეს გ. ჯუსოევს, რომელიც პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის პოსტზე, რომ იყო, უხეშ შეცდომებს უშვებდა როგორც კადრების შერჩევაში, ისე სამეურნეო საქმიანობის გაძღოლაში. ამის გამო სამხრეთ ოსეთის სახალხო მეურნეობამ, მისმა ეკონომიკამ მნიშვნელოვანი ზარალი განიცადა. ასეთი ადამიანი, მოითხოვენ კომუნისტები, აღარ უნდა იყოს პასუხსაგებ პოსტზე.

სიმართლეს თვალს ვერ მოუხუჭავ. სწორედ სამართლიანობისათვის ბრძოლის გზაზე ნათელ ჩიბალდად ანთია ჩვენი პარტიის იდეები. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი გვასწავლის უკომპრომისობას ყოველგვარი სიმახინჯისადმი.

ჩვენს მომავალ დიდ წარმატებებს მეათე ხუთწლედში განსაზღვრავს თავდადებული შრომა, რომელიც ბევრად არის დამოკიდებული კადრებზე. ყველა მუშაკი, როგორც საათის ყველა მექანიზმი, შესაფერის ადგილზე უნდა იყოს, და ეს არის წარმატებების გასალუბიც.

გ. თოდეევი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.



მძლავრი, ეფექტიანი

სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულმა თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათამშენებელმა ქარხნის კოლექტივმა შექმნა უფრძნის გადასამუშავებელი ახალი ნაკადური ხაზი, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მძლავრია ჩვენი ქვეყნის ღვინის გადასამუშავებელ მრეწველობაში. ახალი აგრეგატი საათში გადამუშავებს 50 ტონა ყურძენს.

სურათებზე: ზემოთ — მოწინავე ამწყობ-ზეინკლები ა. რაზმაძე და ჯ. ქარსაულიძე, რომლებმაც წარმატებით შეასრულეს მეცხრე ხუთწლედის დავალება და თავი ისახელეს ახალი აგრეგატის აწყობაში. ქვემოთ — მესამე საამქროს მოწინავე ამწყობ-ზეინკალი კომუნისტი ვაჟა ხავთასი, რომელმაც კარგად დაიწყო მეათე ხუთწლედის პირველი წელი. მან პირველი კვარტალის დავალება გადაჭარბებით შეასრულა.

ხ. კილაძის ფოტო.

ნაყოფიერად გამოვიყენოთ გაზაფხულის ყოველი დღე

„კომუნისტის“ რეიდი

ზამთრის პირველი ორი თვე როგორც მთლიანად საქართველოში, ლაგოდეხის რაიონშიც ნაკლებ ნალექიანი იყო და თბილოდა. შემდეგ კი თებერვალში უჩვეულო დიდთოვლობა და ყინვები დაიწყო, რაც დიდხანს გაგრძელდა. გაზაფხული ისე დაიწყო, რომ სოფლის მშრომელებს მინდვრად თუ ბაღეებში არაფერი გაკეთებული არ ჰქონდათ. დაგვიანებულმა გაზაფხულმა შეაფერხა სამუშაოთა დაწყება. მარტის მეორე ნახევარში კი ხან დარია, ხან ავდარი. სოფლად ხშირად გაიგონებთ — ახლა ყოველი წუთი ოქროდ ფასობს. მართლაც ყოველი წუთი საშურია და სადაც დარიან დღეებს მაქსიმალურად იყენებენ, იქ საქმეც ასე თუ ისე, კარგად მიდის.

ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობების უმრავლესობა თესვისათვის დროზე მოემზადა. მოიმარაგეს კონდიციური თესლი. ნაცვლად 1.734 ცენტნერისა 1.989 ცენტნერი აქვთ. თესლი მთლიანად პირველი კლასისაა. ნიადაგიც დასათესად ძირითადად მზადა აქვთ, ტექნიკაც შეკეთებულია. საშემოდგომო ნათესებს კარგად უვლიან, ჯეჯილებიც სანაქებოა. ერთი შეხედვით ყველაფერი თითქოს რიგზეა.

აფენის კოლმეურნეობა საგაზაფხულო სამუშაოებისათვის კარგად მოემზადა. რაიონში მათ პირველებმა დაიწყეს საგაზაფხულო კულტურების თესვა. 44 ტრაქტორი გამზადებულია. თესლეულიც საკმაოდ აქვთ. ენერგიულად შრომობენ გ. ხარათიშვილი, შ. ნოხუაძისა და გ. მუმლაძის ბრიგადები. მაგრამ ამ კოლმეურნეობას თავისი გასაკირი აქვს. აკლიათ 500 კუბმეტრი ხე-ტყე, რომ დიდთოვლობის დროს დაგროვილი თამბაქოს საშრობი ფარდულები შეაკეთონ. აკლიათ პოლიეთილენის ქაღალდიც.

პარტიის რაიკომში, რაისაბჭოს აღმასკომში, სოფლის მეურნეობის სამმართველოში ძმაყოფილი არ არიან ზოგიერთი ზემდგომი სამეურნეო ორგანოების გულდამშვიდებით. ამის მიზეზი მათ აქვთ.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ლაგოდეხელებს ლობიოს თესვის გეგმა გაუდიდა. ნაცვლად 70 ჰექტარისა ლობიო 230 ჰექტარზე უნდა დათესონ. ამის საშუალებას აქაური მიწა იძლევა. რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველომ სამინისტროში 120 ცენტნერი ლობიოს თესლის მისაღებად განაცხადი დროულად წარადგინა. სამინისტრომ 24 თებერვლს წერილით აცნობა საქონტროლის კომიტეტის თავმჯდომარეს, კრიტიკულად არ უდგება საკუთარ მოღვაწეობას, ვერ წარმართავს ოლქის სოფლის მეურნეობის განვითარებას და ყოველგვარ ნაკლოვანებას ხელქვეთებს აბრალებს.

ასევე შემწყნარებლად მოეკიდნენ უინიციატივო, ხელმძღვანელობის უნარს მოკლებულ მაგრამ ერთ დროს შუმთხვევით მაღალ პოსტზე მოხვედრილ უ. ხანიკაევს. ძველი ხელმძღვანელობის პერიოდში წლების მანძილზე მას მაღალი პოსტი ეკავა, პარტიის ჯავის რაკომის პირველ მდივნად მისი მუშაობის პერიოდი სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდებოდა. ჩამორჩა ამ რაიონის ეკონომიკა, რაიონში ფეხი მოიკიდა ნეგატიურმა მოვლენებმა. მაგრამ იგი მაინც მოხვდა სამხრეთ ოსეთის ხახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე და აქაც თვითდინებაზე მიუშვა საქმე. ხუროად მოიქცა პარტიის საოლქო კომიტეტი, როცა იგი გადაიყვანა უფრო დაბალ თანამდებობაზე.

კადრებისადმი ლოიალურ, შემწყნარებლურ დამოკიდებულებას ადგილი აქვს პარტიის ცხინვალის საქალაქო კომიტეტშიც. ამის შედეგად უინიციატივო ამხანაგები, რომლებსაც არ შეხვედრა ხელმძღვანელობის უნარი, ახერხებენ შეინარჩუნონ ხაპასუხისმგებლო პოსტები, ან ახლად მოიპოვონ ისინი. ახე, მაგალითად, ცხინვალში ყველა იცნობს პ. ჯიოევს. იგი საქალაქო ხაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ მუშაობდა. ცნობილი იყო მისი უხეშობა და საქმისადმი ზერელე, მშრომელებისადმი გულგრილი დამოკიდებულება. მისი ხელმძღვანელობის წლებში მოიშალა ქალაქის მეურნეობა, ადგილი ჰქონდა ბინების არასწორ განაწილებას. პრესაშიც რამდენჯერმე დაიწერა საქალაქო ხაბჭოს აღმასკომის მუშაობის მანკიერ სტილზე.

პარტიის საოლქო კომიტეტის ბიუროომ შეუთავსებლად ცნო მისი პიროვნება ამ თანამდებობაზე. ... ...

ერთიანობისა და შეკავშირების ნიშნით

სოფია, 30 მარტი. (საკდესი). ბულგარეთის კომპარტიის XI ყრილობის გუშინდელ საღამოს ხსდომაზე მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის მეთაურმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა თ. დ. კულაკოვმა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით, საბჭოთა კომუნისტების, ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელის სახელით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია მხურვალედ მივესალმება მოძმე ბულგარეთის კომუნისტური პარტიის XI ყრილობას, თქვა თ. დ. კულაკოვმა. ჩვენ მადლობელი ვართ ყრილობის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვევისათვის და სრულ წარმატებას ვუსურვებთ ბულგარელ კომუნისტთა უმაღლეს ფორუმს.

ამ მაღალი ტრიბუნიდან მოხარული ვართ გამოვთქვათ მეგობრობისა და პატივისცემის უღრმესი გრძნობები, რომლებითაც კომუნისტები, ყველა საბჭოთა ადამიანი ირიან განმსჭვალულნი ბულგარელი კომუნისტების, მთელი ბულგარელი ხალხის — ჩვენი მეგობრის, ძმისა და მოკავშირის მიმართ.

ჩვენთვის განსაკუთრებით სასიამოვნოა შევასრულოთ საპატიო დავალება — გადავცეთ ყირილობის მონაწილეებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის გულითადი სალამი, ვუსურვოთ ბულგარელ ხალხს კეთილდღეობა, ბედნიერება და აყვავება.

დიდი ყურადღებითა და ინტერესით მოვისმინეთ ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება, რომელიც იმხანგამა ტ. ჟივკოვმა გააკეთა. მოხსენებაში მოცემულია ბულგარეთის მუშათა კლასის, გლეხობისა და ინტელიგენციის აღმშენებლობითი შრომის შთამბეჭდავი სურათი, ყოველმხრივაა ნაჩვენები თქვენი ქვეყნის მნიშვნელოვანი წვლილი სოციალისტური თანამეგობრობის განვითარებაში, მისი აქტიური მონაწილეობა მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესისათვის ხალხთა ბრძოლაში.

სახელოვანი ბულგარეთის კომუნისტური პარტია, რომელიც მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებით ხელმძღვანელობს და შემოქმედებითად იყენებს მოძმე პარტიათა გამოცდილებას, მტკიცედ მიუძღვის ქვეყანას განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის გზით. ბულგარეთის სამეფოთმოქმედო სახალხო კავშირთან მჭიდრო თანამშრომლობით და მასობრივ-საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე დაყრდნობით, იგი აერთიანებს ყველა კლასისა და სოციალური ფენის ღონისძიებებს, წარმართავს მათ ერთიანი მიზნის მისაღწევად.

სოციალიზმისათვის ძნელი ბრძოლის ყველა ეტაპზე ბულგარელ კომუნისტები იყვნენ მტკიცე ინტერნაციონალისტები, განავარო თ. დ. კულაკოვმა. ინტერნაციონალიზმს ამავდრავდა ათასობით ბულგარელი კომუნისტი მონარქიისა და ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის წლებში. ინტერნაციონალიზმს ამავდრავდა მთელი თავისი საქმიანობით შრომელთა ინტერესებისათვის მგზნებარე მებრძოლი, ბულგარელი ხალხის დიდი შვილი გიორგი დიმიტროვი.

ყოველივე ეს ახლობელი და გასაგებია ჩვენთვის, საბჭოთა კომუნისტებისათვის. საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას მტკიცედ სწამს, რომ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დაცვა თვითეული კომუნისტის, თვითეული მარქსისტ-ლენინელის წმიდათაწმიდა მოვალეობაა.

თქვენი პარტიის საქმიანობა ადასტურებს უშნაშვნელოვანეს ისტორიულ მეშმარიტებას: პროლეტარული ინტერნაციონალიზმი და სოციალისტური პატრიოტიზმი განუყოფელია. ბულგარეთის კომუნისტური პარტია ყოველთვის იყო დაკავშირებული ხალხთან, ერთგულად და თავდადებით ემსახურებოდა მშრომელთა ინტერესებს, ისწრაფოდა უფრო სრულად გამოიკვლინებინა მისი შემოქმედებითი ძალები და შესაძლებლობანი.

ეს პრინციპული კურსი ისახა ცენტრალური კომიტეტის 1956 წლის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებებმა, ბულგარეთის კომპარტიის ყრილობების დოკუმენტებმა, პარტიის პროგრამაში, რომელშაც განსაზღვრა ბულგარეთში განვითარებული სოციალისტური სიზოგადოების მშენებლობის ამოცანები. საბჭოთა კომუნისტებმა კარგად იციან, თუ რა დიდი წვლილი შეიტანა ამ კურსის განხორციელებაში ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებამ, სადაც ბულგარელი ხალხის ხუთწლიანი შრომის შედეგებს.

ყველა დელეგატმა გამოსვლებში მთლიანად დაუჭირა მხარი ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმიანობას ერთსულოვნად მოიწონა მეშვიდე ხუთწლედში ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საზოგადოებრივ-ეკონომიური განვითარების ძირითად მიმართულებათა პროექტი.

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის XI ყრილობას დღეს მიესალმნენ სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების დელეგაციათა მეთაურები — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. გიროკი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ჰონეკერი, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი გ. ჰუსაკი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ი. კადარი, მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ი. ცედენბალი, რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ვერდეცი, კუბის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ს. დელ ვალიე ხიმენესი, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის აღმასკომის წევრი მ. მესხოვიჩი, ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ჰოანგ ვან ჰოანი, კორეის მშრომელთა პარტიის პოლიტიკური კომიტეტის წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი იან ჰენ სები, რომლებსაც დელეგატები გულთბილად შეხვდნენ.

ბევრმა მოძმე პარტიის დელეგაციებმა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის XI ყრილობას მიართვეს სამახსოვრო საჩუქრები. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სახელით ყრილობას ძღვნად გადაეცა მოსკოვი დიდგმული ბულგარელი ხალხის დიდი შვილის გ. დიმიტროვის ვეგლის ბრინჯაოს მოდელი.

სოფია. (საკდესი). ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ტ. ჟივკოვმა სადილი გაუმართა სოციალისტური ქვეყნების მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების დელეგაციათა ხელმძღვანელებს, რომლებიც ბულგარეთის კომუნისტური პარტიის XI ყრილობის მუშაობაში მონაწილეობენ.

ᲛᲝᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲒᲘ

ᲙᲛᲣᲠᲘ ᲡᲝᲚᲘᲓᲐᲠᲝᲑᲐ

ლუანდა. (საკდესი). ანგოლის განთავისუფლების სახალხო მოძრაობა და პორტუგალიის კომუნისტური პარტია ადასტურებენ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი უკომპრომისოდ იბრძოლონ კოლონიალიზმის, რასიზმის, ნეოკოლონიალიზმის, ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ. ეს ნათქვამია კომუნიკეში ანგოლის სახალხო რესპუბლიკაში პორტუგალიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის ალვარო კუნიალის ვიზიტის შესახებ, რომელიც გაიმართა ანგოლის განთავისუფლების სახალხო მოძრაობის მიწვევით. მხარეებმა ისტორიული მნიშვნელობის მოვლენად მიიჩნიეს ანგოლის, მოზამბიკისა და გვინეა-ბისაუს ხალხთა გამარჯვება კოლონიალიზმზე. მათ სრული სოლიდარობა გამოუცხადეს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის, ნამიბიისა და ზიმბაბვეს ხალხებს, რომლებიც რასისტული ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის იბრძვიან.

პორტუგალიელ კომუნისტთა სახელით ა. კუნიალი მიესალმა ანგოლის სახალხო რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების გმირობას ბრძოლაში, რომელსაც ეწეოდნენ უცხოთის ინტერვენციის წინააღმდეგ, სამხრეთ აფრიკელ დამპყრობთაგან და იმპერიალიზმის სამსახურში მყოფ დაქირავებულთაგან ქვეყნის ტერიტორიის განთავისუფლებისათვის.

ანგოლის განთავისუფლების სახალხო მოძრაობისა და პორტუგალიის კომუნისტური პარტიის მეგობრობა და სოლიდარობა, ნათქვამია კომუნიკეში, გამოიწვეთო კოლონიალიზმისა და ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ᲡᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ

ბუენოს-აირესი. (საკდესი). არგენტინის პრეზიდენტმა გენერალმა ხორხე რაფაელ ვიდელამ ეროვნული ტელევიზიითა და რადიოთი გამოსვლისას მოუწოდა ყველა სოციალური ფენის წარმომადგენლებს ითანამშრომლონ „ეროვნული რეორგანიზაციისათვის“.

ქვეყანამ დაიწყო ახალი ისტორიული ეტაპი, თქვა სახელმწიფოს მეთაურმა. უწინარეს ყოვლისა, მან „ბოლო უნდა მოეღოს კორუფციას, ტერორსა და დემაგოგიას, რომლებიც დამახასიათებელი იყო მისი განვითარების წინა ეტაპისათვის“. შეიარაღებულმა ძალებმა, თქვა ვიდელამ, გადაწყვიტეს ხელში აიღონ ძალაუფლება, რადგან წინა მთავრობა სრულიად უსუსური იყო გადაწყვიტა დიდმნიშვნელოვანი პრობლემები — ეკონომიკის კრიზისი, ტერორიზმის ზრდა, უმუშევრობა, ხვალინდელი დღის უმყოფლობა.

სამხედრო მთავრობის წინაშე დასახულ მთავარ მიზნებს მორის გენერალმა ვიდელამ დასახელა ხელისუფლების ორგანოებისათვის არგენტინელთა ნდობის აღდგენა და სამინაო უშიშროების უზრუნველყოფა.

სახელმწიფოს მეთაური შეეხო არგენტინის სამხედრო მთავრობის საგარეო-პოლიტიკურ კურსს და აღნიშნა, რომ მთავრობა ეზრაფვის განიტკიცოს ურთიერთობა მსოფლიოს ყველა ქვეყანასთან ერთმანეთის პატივისცემის, თანამშრომლობისა და საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპების საფუძველზე.

ᲤᲝᲢᲝᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ



ᲕᲠᲘᲪᲚᲘ. ლიბიის დედაქალაქში გამართულ ტრადიციულ საერთაშორისო ბაზრობაში ახზე მეტი ქვეყანა მონაწილეობს, მათ შორის სსრ კავშირი. საბჭოთა ქვეყნის პავილიონი ერთ-ერთი უდიდესია დაკავებული ფართობისა და გამოფენილი ექსპონატების რაოდენობის მიხედვით. აქ წარმოდგენილია ჩვენი ქვეყნის 15 საგარეოსავაჭრო გაერთიანების პროდუქციის ნიმუშები.

სურათზე: სსრ კავშირის პავილიონი.

საკდესის ფოტო.

ᲞᲔᲜᲢᲐᲒᲝᲜᲘᲡ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘ

ვაშინგტონი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. ფორდმა კონგრესს მოუწოდა მოიწოლოს მთავრობის მიერ აკრძალული ასიგნებანი პენტაგონისათვის, რომლებიც მომავალი საფინანსო წლისათვის 112,7 მილიარდი დოლარის ოდენობით არის დაგეგმილი.

მას შემდეგ, რაც პრეზიდენტი გავხდი, თქვა ჯ. ფორდმა, ორი ყველაზე დიდი სამხედრო ბიუჯეტი წარმოადგინეო. პრეზიდენტმა გაიფრთხილა კონგრესი, რომ თუ ბიუჯეტს შეკვეცავს, იგი ვეტოს დაადებს ამ კანონპროექტს.

როგორც ცნობილია, პენტაგონის მომდინარე საფინანსო წლის ბიუჯეტი უკვე რეკორდულია ქვეყნის მთელი ისტორიის მანძილზე.

ᲘᲐᲠᲐᲚᲘ ᲐᲠᲐᲑᲘ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲒᲠᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒ

ნიუ-იორკი. (საკდესი). გალილეაში — ისრაელის ერთ-ერთ რაიონში, სადაც უპირატესად არაბები ცხოვრობენ, დაფიქრებული შეტაკებანი ხდება ჯარის ნაწილებით გაძლიერებულ ისრაელის პოლიციასა და ადგილობრივ მკვიდრთა შორის. რამდენიმე არაბი მოკლეს, ოცზე მეტი კი დაჭრეს, როცა მხეცურად გაუსწორდნენ არაბ პატრიოტებს, რომლებიც პროტესტს აცხადებენ ტელ-ავივის მიერ მათი მიწის ნაკვეთების კონფისკაციის წინააღმდეგ. ისრაელის ხელისუფლებამ დააპატიმრეს 70-ზე მეტი კაცი.

ასეთი სისხლისმღვრელი ამბებით დაიწყო ისრაელში „მიწის დაცვის დღე“, რომელიც ქვეყნის მემარცხენე ძალების მოწოდებით იმართება. მასი მონაწილენი გადაჭრით ილაშქრებენ ტელ-ავივის მმართველი წრეების პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც მიწაგის ექსპროპრიაციას.

გაზეთი „ალ-ჰაშული“, რომელიც ოერუსალიმში არაბულ ენაზე გამოდის, გმობს ექსპროპრიაციის კამპანიას და აღნიშნავს, რომ იგი სრულიადაც არ ისახავს მიზნად გალილეის ეკონომიურ განვითარებას, როგორც ამას ტელ-ავივი ირწმუნება. როცა არაბებს მამაპაპისეული მიწებიდან ერეკებიან, ხაზს უსვამს გაზეთი, ისრაელის მმართველები აპირებენ შეცვალონ ამ რაიონის დემოგრაფიული სახე, სადაც 230 ათასი არაბი ცხოვრობს და ოთხჯერ ნაკლებია ებრაული მოსახლეობა.

ისრაელის ხელისუფლებამ, რომელმაც ეშინიათ, რომ არაბ მოქალაქეთა გამოსვლებმა ისეთივე ფართო მასშტაბი არ მიიღონ, როგორც ამას წინათ მოხდა მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირზე, გალილეის ერთ-ერთ ყველაზე „სამშრ რაიონში“ — სოფელ საჰნინში კომენდანტის საათი შემოიღეს და იქ გადაიყვანეს პოლიციელებისა და არმიის ქვეგანაყოფების გაძლიერებული რაზმები.

მაგრამ ამ საგანგებო ღონისძიებებმა ხელი ვერ შეუშალეს საჰნინისა და ახლომახლო სოფლების არაბ მოსახლეობას გამოსულიყო დემონსტრაციაზე. როცა ისრაელებმა ძლიერი კორდონი აღმართეს დემონსტრანტთა გზაზე, პოლიციელებსა და ჯარისკაცებს სეტყვასავით დაუშინეს ქვა და ანთებული ჩირაღდნები. ისრაელებმა სროლა ატეხეს, რამაც ოთხი დემონსტრანტი შეიწირა.

ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ

საკდესი და ესპოეთის პრესის სააგენტოები იტყობინებიან

ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ ᲛᲘᲡᲠᲘᲓᲐᲜ

ᲘᲣ�გᲝᲡᲚᲐᲕᲘᲐ

● **ბელგრადი,** აქ გაიმართა იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება ამა წლის 17 აპრილისათვის მოიწვიოს იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის მორიგი, მესამე პლენუმი.

ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐ

● **რიო-დე-ჟანეირო.** ბრაზილიაში ეროდემიური ავადმყოფობანი ცხოჯერ უფრო მეტად არის გავრცელებული, ვიდრე ოფიციალური სტატისტიკითაა ნაჩვენები, გაანაცხადა ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა პაულუ დი ალმეიდა მაშადუმ. ქვეყანას ხრულიად არ ეყოფნის ვაქცინები და სამინისტროს სახსრები არა აქვს მის შეძენად. აღნიშნა მან.

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ

● **პარიზი.** „რა მოუვა თვითმფრინავ „კონკორდს“? ამ კითხვას სვამს ახლა ამ ზებგერითი სამგზავრო ლაინერის მშენებლობაზე დასაქმებული ათასობით მუშა და მოსამსახურე.

უკვე დიდი ხანია ამ თვითმფრინავის ბედი საეჭვო გახდა. მისი შემუშავებისა და პირველი ნიმუშების გამოცდისათვის ორი ქვეყნის მთავრობამ დახარჯა დაახლოებით 14 მილიარდი ფრანგული ფრანკი. წარმოების ორგანიზატორები იმედოვნებდნენ, რომ მიიღებდნენ თვითმფრინავის 74 შეკვეთას, მაგრამ მხოლოდ 16 შეკვეთა მიიღეს. ახლი მდგომარეობა თვითმფრინავის წარმოებას არარენტაბელურს ხდის, იწვევს „კონკორდის“ მთელი პროგრამის შეკვეცას. ამით საეჭვო ხდება ინგლისისა და საფრანგეთის საავიაციო მრეწველობის ათასობით მუშის დასაქმებაც.



ᲞᲝᲠᲢᲣ�გᲐᲚᲘᲐ

ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡᲬᲘᲜᲐ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ

ლისაბონი, (საკდესი). პორტუგალიაში უკვე გაჩაღდა არჩევნებისწინა ბრძოლა, თუმცა რესპუბლიკის საკანონმდებლო კრების არჩევნების კამპანია ოფიციალურად მხოლოდ 4 აპრილს იწყება. ამ ვითარებაში პოლიტიკური კონფლიქტები სხვადასხვა პარტიის მომხრეთა შორის შეტაკებებად იქცევა ხოლმე, რასაც შეიძლება მოყვეს ქვეყნის მდგომარეობის ხაშაში გაჭიანურვება. პროფოკაციების ინიციატორები ჩვეულებრივ არიან ხოლმე მემარჯვენე რეაქციონერები, ზოგჯერ კი ფსევდორევოლუციური მემარცხენე-ექსტრემისტული დაჯგუფებები.

მთავრობა და მემარცხენე პარტიები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა სტაბილური გახადონ შინაპოლიტიკური ვითარება, მიაღწიონ, რომ ნორმალურ და მშვიდ ვითარებაში ჩაიაროს არჩევნებმა.

პრემიერ-მინისტრმა პინეიროუ დი აზევედუშ წინადადება მისცა პარტიებს, რომელთა წარმომადგენლები დროებით მთავრობაში შედიან — სოციალისტურ, სახალხო-დემოკრატიულ და კომუნისტურ პარტიებს, — ერთად შეიმუშაონ არჩევნებისწინა კამპანიის პერიოდში პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფის ღონისძიებანი. ამავე დროს პრემიერ-მინისტრი შეხვდა ყველა ამ პარტიის დელეგაციებს.

პორტუგალიის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ა. კუნიალმა ჟურნალისტებს უთხრა, რომ პინეიროუ დი აზევედუსთან კომპარტიის დელეგაციის საუბრის დროს გაიმართა აზრთა ფართო გაზიარება არჩევნების წინ ქვეყნის შინაპოლიტიკური მდგომარეობის საკითხებზე.

ამასობაში აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის პროექტის დამთავრებისათვის. მემარცხენე ძალებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს, როცა, მემარჯვენე დეპუტატების წინააღმდეგობის მიუხედავად, დამფუძნებელი კრებამ ხმების დიდი უმრავლესობით მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც საკანონმდებლო კრების პირველ შემადგენლობას უკრძალავს კონსტიტუციის იმ დებულების შეცვლას, მშრომელთა არსებული უფლებების გარანტიების უზრუნველყოფას რომ ეხება. კონსტიტუციის ეს დებულებანი თავის დროზე მიიღეს პორტუგალიის კომპარტიის წინადადებით.

დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილებას მიესალმა სოციალისტი დეპუტატი, თვალსაჩინო პროფკავშირული მოღვაწე კალიდაშ ბარეტუ, რომელმაც აღნიშნა, რომ კონსტიტუციის დებულებანი, რომლებიც ეხება მშრომელთა უფლებებს, საწარმოებში მუშათა კომისიების ხელმძღვანელობას და პროფკავშირული ერთიანობის უზრუნველყოფას, ქვეყნის ურეფენი კანონი გახდა დამფუძნებელ კრებაში კენჭისყრის მეოხებით. ეს, თქვა მან, ერთხელ კიდევ დასტურებს, რომ ახალი კონსტიტუცია მოსახლეობის ექსპლოატირებულ ფენების ინტერესებს იცავს.

ᲔᲡᲙᲐᲜᲔᲗᲘ ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲕᲔᲑᲘᲡ ᲘᲛᲔᲓᲘᲗ

მადრიდი. (საკდესი). ქვეყნის საზოგადოებრიობა ღაფეთთა მადრიდის მუნიციპალური საბჭოს გადაწყვეტილებამ აკრძალოს პრეზიდენტ ფრანკოს ბიოგრაფიის გამოცემა, ბოლო ხანებში ფართოდ განიხილეს. ეს ბიოგრაფია, ეს ბიოგრაფიული ნაშრომი, ეს ბიოგრაფიული ნაშრომი, ეს ბიოგრაფიული ნაშრომი

დაუვიწყარი საღამოები

თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრის გასტროლები მოსკოვში

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის გასტროლები მოსკოვში ჩვენი ეროვნული კულტურის ნამდვილ დღესასწაულად გადაიქცა. დედაქალაქის საზოგადოებრიობა მთელი ამ ხნის მანძილზე შეუნელებელი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს ქართველ მსახიობთა ხელოვნებას. გაზეთ „კომუნისტის“ საკუთარმა კორესპონდენტმა დ. მაჭავარიანმა რეჟისორებს, მსახიობებს, უცხოელ სტუმრებს სთხოვა გამოეთქვათ თავიანთი აზრი საგასტროლო წარმოდგენების ირგვლივ.

ანდრეი ტარკოვსკი, კინორეჟისორი: მინდა მადლობა გადაუხადო რუსთაველის თეატრს დიდი ხელოვნებისათვის. მათი ყოველი სპექტაკლი ჩემთვის ზეიმია, მათში იგრძნობა დიდი ჰუმანიზმი, ტალანტი. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ თქვენს მშვენიერ თეატრს ჩვენთვის სიხარული მოაქვს.

ვოლფგანგ შტრაკენბერგი, ლაიფციგის უნივერსიტეტის პროფესორი, ხელოვნებათმცოდნე: მე მიანახავს ბრენტის თეატრის შესრულებით „კავკასიური ცარცის წრე“ ბერლინში და მინდა აღვნიშნო, რომ რუსთაველის თეატრის ინტერპრეტაციით დიდებულად ეღერს ბრენტის იდეა ქვეყნად სიყვარულის, მშვიდობის გამარჯვებისა და სიკეთის დამკვიდრებისა. მთელი სპექტაკლის განმავლობაში ვგრძნობდი აღმფოთრებას და სიხარულს. ძალიან მომეწონა მუსიკა, მხატვრული გაფორმება.

ნიკოლოზ კაბარლიცკი, თეატრალური ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის პროფესორი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი: მე რუსთაველის თეატრის ყველა სპექტაკლს ვესწრები. ეს იყო დაუვიწყარი და განუმეორებელი საღამოები. ასეთი რამ ძალიან იშვიათად ხდება და მეორდება. მაყურებელთა სიხარული და პატივისცემა ყველაზე დიდი ჯილდოა თქვენი თეატრის დიდებული ხელოვნებისათვის.

ლინდა ბერჩი, ამერიკელი ხელოვნებათმცოდნე: პირველად ვარ საბჭოთა კავშირში და პირველად ვნახე საბჭოთა თეატრის სპექტაკლი. რამდენი სილამაზე და სითბო ვიგრძენი! ძალიან მინდა, რომ თქვენი სცენის ოსტატები ჩამობრძანდნენ ამერიკაში. ჩვენი მაყურებელი აუცილებლად უნდა ეზიაროს თქვენი თეატრის დიდებულ ხელოვნებას. „კავკასიური ცარცის წრის“ შთაბეჭდილება თან წამყვება, როგორც დაუვიწყარი ზეიმი.

ტატიანა ჯელცერი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი: თქვენი მშვენიერი ხელოვნება ბევრს ავალებს ჩვენს თეატრს — მოსკოვის სატირის თეატრს. სექტემბერში დაგეგმილია ჩვენი თეატრის გასტროლები თბილისში. დიდი მღელვარებით ველით შეხვედრას თბილისელ მაყურებელთან. მთელი ჩვენი თეატრის სახელით მადლობა ქართველ სცენის ოსტატებს იმ სიამოვნებისათვის, მათმა მზიურმა ხელოვნებამ რომ მოგვანიჭა.

მიხეილ კაზაკოვი, რსფსრ დამსახურებული არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი: სიტყვები არ მყოფნის აღტაცების გამოსახატავად. მე ვამაყობ, რომ პროფესიით მსახიობი ვარ. თქვენი თეატრის გამარჯვება მთელი ჩვენი თეატრალური ხელოვნების გამარჯვებაა. სიხარულს განაცდევინებს რამაზ ჩხიკვაძის ნიჭიერება. საერთოდ ამ თეატრში მსახიობთა ბრწყინვალე ანსამბლია. მჯერა, რომ რეჟისორ რობერტ სტურუას კიდევ ბევრი გამარჯვება ელის.

მოსწავლე კარგი სწავლითა...

ლენინგრადის საშუალო სკოლის მოსწავლე ახალგაზრდობა უდიდეს ინტერესს იჩენს ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლობისადმი. ამ დღეებში დიდი გამოცოცხლება იყო სკოლაში. მოსწავლეებმა ხალისით შეაგროვეს წიგნები, სვანური ქუდები, ხილი, და ამანათს ასეთი წარწერა გაუკეთეს: „ბამი, ხიაგრუზინსკაია, ქართველ მშენებლებს“.

ბავშვებმა საჩუქრებთან ერთად ბარათი გაგზავნეს. აი, რას სწერდნენ ისინი: „ჩვენთან, სვანეთში უჩვეულო ზამთარია. შვიდი დღე-ღამე გადაუღებლად თოვდა. ყოველთვის იყო მოსალოდნელი სტიქიური უბედურება, მაგრამ როდი შევდრკით. ჩვენ ყოველთვის თქვენი გმირობა, შრომითი თავდადება გვედგა თვალწინ, და უფროსების მხარდამხარ უმაშრად შევებრძოლეთ სტიქიას. გადავთოვლეთ სახლები, გავაკვლიეთ გზები. ვცდილობთ კარგი სწავლითა და შრომით გასახელოთ თქვენ, მამაცო ქართველო ბამელებო“.

ც. ვასაძე,
„კომუნისტის“ კორ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ

„ნერგები“ მღერიან

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ზემოდან — ანსამბლი „ნერგები“; ნორჩი სოლისტები — ლ. მანტკავა და ჯ. რამიშვილი; ქოლგებით ცეკვას ასრულებენ ნ. უთიაშვილი, ნ. სუჩკოვა და ნ. ტაგიზადე.

ბ. ᲒᲣᲜᲘᲐᲡ ფოტო.

ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ რკინიგზელთა სახლის სცენაზე კონცერტი გამართა ბავშვთა ვოკალურ-ინსტრუმენტულმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „ნერგებმა“. (ხელმძღვანელი მერვე რესპუბლიკური ფესტივალის ლაურეატი ნ. მდინარაძე, მუსიკალური ხელმძღვანელი დ. ყევლიშვილი, ქორეოგრაფი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მ. ბახტაძე).

ნორჩმა მუსიკოსებმა, მომღერლებმა, მოცეკვავეებმა, აკრობატებმა მრავალფეროვანი პროგრამა წარმოადგინეს.

მაყურებელს მოეწონა მათ მიერ შესრულებული ქართველ, საბჭოთა და საზღვარგარეთელ კომპოზიტორთა სამაგვარო სიმღერები, ცეკლოვანი ცეკვები. ჩინებულად ეღერდა ორკესტრი. გაგაოცეს მატარა მუსიკოსებმა თ. კუხალაძემ, კ. მიმაიშვილმა, ი. ამედაშვილმა, მ. ძიძიგურმა, ვ. კელეტრიშვილმა, კ. მეგრელიშვილმა, რ. ცუხიშვილმა, ნ. დაუშვილმა, კ. უსტარაშვილმა, კ. დბრუნდაშვილმა, ნ. აღაპიშვილმა, ნ. კუტიკაძემ. დაუვიწყარი იყო ცეროდენა მომღერლებთან შეხვედრა. ჯ. რამიშვილმა, ლ. მანტკავამ, ხ. სუარესმა, ხ. დაუშვილმა, ხ. ირემაშვილმა, მ. მაზანაშვილმა მოგვიხიბლეს. მათ გამოამეღვიძეს უმეცალობა, გულში ჩამწვდომი სითბო, მუსიკალობა, სცენაზე თავის დაპერის უნარი, პლასტიკა. მშვენიერი იყვნენ მოცეკვავე თ. ქაქუთია, აკრობატები ნ. უთიაშვილი, ნ. ტაგიზადე, ნ. სუჩკოვა.

კონცერტზე კვარტეტი დუეტს ცვლიდა, ცეკვა აკრობატულ ნომერს. ეღერდა ფულცმანის „დიდა ცა“, ვ. აზარაშვილის „ჯარისკაცებო, რატომ არ იღებთ ხმას“, დ. ყევლიშვილის „მატარებელი“, პოლონური, ესპანური, ქართული ხალხური სიმღერები და სხვ.

ანსამბლი ორი წლის წინათ ჩამოყალიბდა და უკვე პოპულარობა მოიპოვა როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ. „ნერგებს“ იწვევენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში. პატარა მუსიკოსები რამდენიმეკერ გამოვიდნენ ცენტრალური ტელევიზიის ცისფერ ეკრანზე. მათმა შემოქმედებამ მოხიბლა პოლონელი, ჩეხი, ფრანგი, იაპონელი და სხვა სტუმრები, ყველანი, ვინც „ნერგების“ კონცერტები ნახა. ასე იყო არტეკშიც საერთაშორისო ფესტივალზე.

„ნერგები“ მოსწავლეთა მერვე რესპუბლიკური ფესტივალის ლაურეატია და აგრეთვე მრავალი სიგელის მფლობელი.

„ნერგებს“ მალე კინოოკრანზეც ვნახავთ. რეჟისორი ზ. კაკაბაძე იღებს ფილმს „ისევ ნერგები“.

ამჟამად ანსამბლი ლენინგრადშია და იქაური თანატოლებისათვის დიდ საკონცერტო დარბაზში კონცერტებს მართავს.

ნ. ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ № 55 ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ ᲠᲕᲐ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲑᲐᲖᲐᲖᲔ — ᲓᲣᲠᲒᲚᲔᲑᲘᲡ (ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲘᲐᲜ 15-16 ᲬᲚᲘᲡ ᲑᲘᲭᲔᲑᲘ), ᲛᲦᲔᲑᲐᲕᲔᲑᲘᲡ, ᲛᲔᲤᲐᲗᲮᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘᲡ, ᲛᲔᲤᲘᲚᲐᲙᲔᲑᲘᲡ, ᲛᲝᲛᲞᲘᲠᲙᲔᲗᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ (ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲘᲐᲜ 15-16 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲝᲒᲝᲜᲔᲑᲘ) ᲡᲐᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲔᲑᲖᲔ.

სწავლების ვადა 3 წელია; სასწავლებლის კურსდამთავრებულები მიიღებენ საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატს და არჩეული სპეციალობის მიხედვით მიეცემათ მე-3-მე-4 თანრიგი.

მეცხრე-მეათე კლასების ბაზაზე მეფილაკე-მომპირკეთებლების, მღებავების, მეგზურაშვილების სპეციალობით (მიიღებიან 16-20 წლის გოგონები). სწავლების ვადა 1 წელია.

სასწავლებელში შემსვლელნი იმყოფებიან სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე და უზრუნველყოფილნი იქნებიან საერთო საცხოვრებლით (ოთახური სისტემა). სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ლენინგრადში მიეცემათ საცხოვრებელი ფართობი და სამუშაო.

სწავლა იწყება 1 სექტემბერს. ცნობებისათვის მიმართეთ მისამართით: 194291, ქ. ლენინგრადი, ლუნაჩარსკის პრ. № 66. ტელ. 41-97-86.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲧᲝᲤᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲝ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲮᲔᲠᲮᲝ-ᲡᲐᲛᲠᲔᲚᲝ-ᲡᲐᲛᲠᲐᲛᲝᲡ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲘ

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲬᲚᲘᲡ 1 Ა�პᲠᲘᲚᲘᲓᲐᲜ ᲙᲐᲪᲗᲐ ᲞᲐᲠᲘᲙᲛᲐᲮᲔᲠᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲔᲑᲖᲔ.

სასწავლებელში მიიღებიან 30 წლის ასაკს საშუალო და არასრული საშუალო განათლების მქონე ორივე სქესის ახალგაზრდები.

სწავლის ხანგრძლივობა 5 თვეა.

სასწავლებელში შემსვლელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები: მომართვა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების რაიონული (საქალაქო) სამმართველოდან, განათლების მოწმობა (დედანი), დაბადების მოწმობა (დედანი), სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286), ავტობიოგრაფია, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 2 ფოტოსურათი. პასპორტს პირადად წარმოადგენენ.

სწავლის პერიოდში მოსწავლეებს წარმომგზავნი ორგანიზაციები უხდიან სტიპენდიას 30 მანეთს, რაიონებიდან და ქალაქებიდან მოვლინებულ მოსწავლეებს მიეცემათ დამატებით თვეში 10 მანეთი.

საბუთების მიღება გრძელდება.

სწავლა დაიწყება 1 აპრილს.

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ კურსდამთავრებულებს მიეცემათ მოწმობა სპეციალობისა და კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ და წარმომგზავნი ორგანიზაციის მიერ უზრუნველყოფილი იქნებიან სამუშაო ადგილით.

სასწავლებლის მისამართია: თბილისი — 59, დიღმის მასივი, მე-2 კვარტალი, მე-8 კორპუსი, ტელეფონი: 51-39-13.



ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲘ — ᲤᲝᲡᲢᲘᲗ

ᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲣᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!

ᲢᲣᲚᲘᲡ ᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡ ᲑᲐᲖᲐ

შეკვეთით უგზავნის მყიდველებს საბავშვო სამთვლიან ველოსიპედ „ვეტერაკს“. ველოსიპედი თავისუფლად შეიძლება გადაკეთდეს ორთვლიანადაც. სჭის და დასაჯდომი ბალიშის რეგულირება შეიძლება ბავშვის სიმაღლის გათვალისწინებით. ველოსიპედი აღჭურვილია ზარით და ინსტრუმენტების ჩანთით.

ნათელი ფერის ბისნჭრის საღებავები, მონიკელებული დეტალები ველოსიპედს მიმზიდველ გარეგან სახეს აძლევს.

ველოსიპედის ღირებულებაა 19 მანეთი. გადაგზავნის ხარჯები — 1 მანეთი და 92 კაპიკი.

საბავშვო ველოსიპედი იგზავნება შემკვეთის მისამართზე ფასადადებით. ველოსიპედის შესაძენად აუცილებელია გაიგზავნოს შეკვეთა მისამართით: ქ. ტულა — 300019, ოდოევსკის გზატკეცილი, 61-ა გზავნილვაჭრობის ბაზა.

ᲨᲔᲙᲕᲔᲗᲘᲗ ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲕᲔᲚᲝᲡᲘ�პᲔᲓᲘ, ᲗᲥᲕᲔᲜ ᲛᲐᲡ ᲤᲝᲡᲢᲐ ᲛᲝᲒᲘᲪᲐᲗ!

წიგნის თარო

რობინ მეტრეველი — კვალი განათლებული. ნაშრომში გადმოცემულია გამოჩენილი ქართველი მეცხიერისა და საზოგადო მოღვაწის ივანე ჯავახიშვილის ცხოვრებისა და მეცნიერული მოღვაწეობის, აგრეთვე ქართული კულტურის ზოგიერთი საკითხი. რედაქტორი ზ. ამირანაშვილი. მხატვარი შ. ნორაძე. გვ. 226. გამომცემლობა „ხელოვნება“.

კლიმენტი შელია — მსოფლიო სოციალისტური სისტემა თანამედროვეობის მთავარი რევოლუციური ძალაა. ნაშრომში განხილულია სოციალისტური ქვეყნების განვითარების ძირითადი კანონზომიერებანი, მათი პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობისა და სხვ. საკითხები. რედაქტორი ა. არობელიძე. გვ. 302. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

გიორგი მაჩიტაძე — საგანი, თვისება და მიმართება. წიგნში სისტემატური სახით გამოკვლეულია საგნის თვისებისა და მიმართების ბუნება და ურთიერთდამოკიდებულება მათ შორის. რედაქტორი ს. ავალიანი. გვ. 138 გამომცემლობა „მეცნიერება“.



ᲑᲐᲗᲣᲛᲘ. ᲮᲔᲓᲘ ᲩᲐᲜᲐᲪᲘᲠᲝᲚᲐᲜ.

Ზ. ᲑᲐᲑᲐᲘᲐᲜᲘᲡ ფოტო.

დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნებას მიეძღვნა

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ხელოვნების მუშაკთა სახლში გაიმართა საქართველოს მხატვართა კავშირის გაძლეგობის გაფართოებული პლენუმი, რომელიც ქართული საბჭოთა დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების განვითარების საკითხებს და მის საღდგინოო ამოცანებს მიეძღვნა. გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტი ეუბნება საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარეს **ნ. ჯანბერიძეს,** რომელმაც თქვა:

— ქართველმა მხატვრებმა, ისე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანმა, მხურვალედ მოიწონა და ერთსულოვნად დაუჭირა მხარი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV კონგრესის გადაწყვეტილებებს. ამ დიდმნიშვნელოვანი ამოცანების მესრულებისა და კომუნისტური მსოფლმხედველობის გამომუშავებაში, საბჭოთა ადამიანების ძაღალი იდეალებისა, მისი მრწამსისა და ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბების საქმეში ქართველ მხატვრებს დიდი მისია აკისრიათ. კომუნისტთა დიდმა ფორუმმა მაღალი შეფასება მისცა ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა კეთილმობილურ საქმიანობას.

ქართველი გამოყენებითი ხელოვნებაა მუშაკთა მიერ მოპოვებული წარმატებანი მოწმობს, რომ ჩვენში მას არა მარტო დიდი ტრადიციები აქვს, არამედ დღეს შეძლებდენი თვალსაზრისით ახალ სიმაღლესაც მიაღწია. ამის დასტურია ქართველ ოსტატთა საყოველთაო აღიარება ოდგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

პლენუმზე საქმიანი საუბარი გაიმართა ქართული საბჭოთა დეკორატიული ხელოვნების განვითარების გზებზე და მეათე ხუთწლედში დასახული ამოცანების გადაწყვეტის პერსპექტივებზე. უნდა აღინიშნოს, რომ ანგარიშებზე გამოსულმა ამხანაგებმა ღლაბოაკეს იმ პრობლემებზე, რომლებიც ჯერ კიდევ გადასაწყვეტია.

მოხსენებელმა — საქართველოს მხატვართა კავშირის დეკორატიულ გამოყენებითი ხელოვნების სექციის თავმჯდომარემ, რ. მელიქიძემ ყურადღება გამახვილა გამოყენებითი ხელოვნების დღევანდელ მდგომარეობაზე. აღმოჩნდა, რომ საქართველ ამაღლდეს ქართველ ოსტატთა მხატვრული ფინეტ, ნაკეთობათა ხარისხი, უფრო ქმედითი გახდეს თბილისის სამხატვრო აკადემიის როლი გამოყენებითი ხელოვნების მომავალი კადრების აღზრდისა და დოსტატების საქმეში, გაფართოვდეს კოლტაქტები მხატვრებსა და წარმოებას შორის.

საქართველოს დამსახურებულმა მხატვარმა ა. კაკაბაძემ ილუსტრაცია ქართული ეროვნული შეეახებ. სანტერესო ნაბადაღებებით გამოვიდა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე დ. ციცამეული, რომელიც ბევრი ხალხური სარეწნიანი ლეგენდა ლონეს და არსებულ ნაკლოვანებათა დაძლევის აუცილებლობებს. საქართველოს სსრ დამსახურებულმა მხატვარმა ნ. კაკნაძემ ეაუბნა თანამედროვე ქართული დეკორატიული ხელოვნების ბედსაბ, მხატვარმა ძ. აბაძიძემ — მხატვრისა და წარმოების ურთიერთობაზე.

პლენუმზე სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე შ. კვასხვაძე, საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი რ. იაშვილი, მხატვრები რ. ფერაძე, შ. ციცაშვილი, რ. ნარტყაშვილი.

პლენუმმა შეაჯამა მუშაობა და დასახა გზები ქართული საბჭოთა დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების შემდგომი განვითარებისათვის.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲭᲐᲛᲘ ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲝᲑᲘᲡᲐ

კალენდარით უკვე გაზაფხულის მეორე თვეა — აპრილი გვეწვია, მაგრამ მკაცრი ზამთრის შემდეგ ბუხეიის ფერისცვალების ჟამი ჯერ კიდევ ვერ გვიგრძვნია.

რას გვპირდება აპრილი?

ᲓᲐᲡᲐᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ — ჰაერის სამუალო თვიური ტემპერატურა დაბლობ რაიონებში მოსალოდნელია 10-12, მთა რაიონებში — 7-9, მაღალმთიან რაიონებში — 2-5 გრადუსის ფარგლებში (ნორმაზე დაბალი ერთ გრადუსამდე). ნალექების თვიური ჯამი ნორმაზე მეტი იქნება.

1-10 აპრილს ცვალებადი მოღრუბლულობა იქნება, დეკადის დასაწყისში უნალექოდ, დასარჩენ დროს დროგაძმშვებით იწვიმებს. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში დღისით 13-18, დეკადის ბოლოს ტემპერატურის დაწევა 9-14 გრადუსამდე. მთიან რაიონებში ღამისით დეკადის დასაწყისში 13-18, დასარჩენ დროს 9-14 გრადუსი სითბო.

11-20 აპრილი — მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, ალაგ-ალაგ წვიმა და ელჭექი. დაბლობ რაიონებში დღისით დეკადის შუა ნაწილში 22-27, დასარჩენ დროს 11-16, მთა რაიონებში დეკადის დასაწყისში დღისით 5-10, დასარჩენ დროს 18-23 გრადუსი სითბო იქნება.

21-30 აპრილს დეკადის შუა რიცხვებში უნალექო ამინდია მოსალოდნელი, დასარჩენ დროს დროგამოშვებით იწვინებს. დაბლობ რაიონებში დეკადის შუა რიცხვებში დღისით 19-24, დასარჩენ დროს 15-20 გრადუსი სითბო იქნება, მთა რაიონებში კი დეკადის შუა ნაწილში დღისით 16-21, დასარჩენ დროს კი 10-15 გრადუსი სითბო.

ალმოსავლეთ საქართველოში ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურა დაბლობ რაიონებში მოსალოდნელია 7-10, მთა რაიონებში 4-6, ხოლო მაღალმთიან რაიონებში — 1-2 გრადუსის ფარგლებში.

1-10 აპრილს ვვარაუდობთ მნიშვნელოვან მოღრუბლულობას, დროგამოშვებით ხალექს, ალაგ-ალაგ ნისლს. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში დღისით 8-13, მთა რაიონეში 5-10, მაღალმთიან რაიონებში ნული-5 გრადუსი იქნება.

11-20 აპრილს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, ალაგ-ალაგ წვიმა და ელჭექი. ტემპერატურა ქართლის ვაკის დასავლეთ რაიონებში დეკადის დასაწყისში დღისით 9-14, დასარჩენ დროს 17-22 გრადუსი სითბო იქნება, ხოლო სხვა დაბლობ რაიონებში დეკადის დასაწყისში დღისით 12-17, დასარჩენ დროს კი 21-26 გრადუსამდე დათბება, სითბო იქნება მთა რაიონებშიც — დღისით დეკადის დასაწყისში 7-12, დასარჩენ დროს 15-20 გრადუსი.

21-30 აპრილს ცვალებად მოღრუბლულობას ველოდებთ, ალაგ-ალაგ წვიმას და ელჭექს. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში დეკადის პირველ ხახევარში დღისით 11-16, ხოლო მეორე ნახევარში 15-20 გრადუსი სითბო იქნება, მთა რაიონებში კი დღისით მხოლოდ 10-15 გრადუსი.

ნ. ᲑᲐᲗᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
თბილისის ამინდის ბიუროს ინჟინერ-სინოპტიკოსი.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

როგორც ვიუწყებოდით, სსრ კავშირის თასის გათამაშების მერვეფინალში თბილისის „დინამო“ წილისყრის შედეგად საკუთარ მოედანზე შეხვდება ლენინგრადის „ზენიტს“.

აი მერვეფინალების დანარჩენი მოსაწილენი (მატჩები შედგება პირველად დასახელებული გუნდების მოედნებზე): სმოფროპოლის „ტავრია“-„დნეპრი“, „კარპატი“-„კრილია სოვეტოვი“, „ზარია“-„მატეორი“, „მოსკოვის „ლოკომოტივი“-„არარატი“, „ჩერნომორეცი“-მოსკოვის „დინამო“, ცსკა-მოსკოვის „ტორპედო“. ორი უკანასკნელი შეხვედრის ეადებს ფეხბურთის საკავშირო ფედერაცია დაადგენს მოგვიანებით, დანარჩენი მერვეფინალური მატჩები კი გაიმართება 5 მაისს.

ᲔᲠᲔᲕᲐᲜᲨᲘ გაიმართა სსრ კავშირის კლუბების ნაკრებისა და „არარატის“ ამხანაგური მატჩი. თამამში, რომელსაც 50 ათასი მაყურებელი ესწრებოდა, წვიმიან ამინდში მიმდინარეობდა. შეხვედრის 66-ე წუთზე ანდრეასიანმა გარტანა გოლი, რომელმაც გამარჯვება მოუტანა მასპინძლებს — 1:0 (0:0).

საბჭოთა კლუბების ნაკრები ასეთი შემადგენლობით გამოდიოდა: პრახოროვი (ასტაპოვსკი), საუხი, ლეშჩეკი, ბბრამოვი, დაიდოვი, ლოგრეკი, მინაევი, სახაროვი (მ. მაჩაიძე), კაზაჩინოკი, ნაზარენკო, ფიოდოროვი (გუცაევი).

ᲨᲔᲯᲚᲘᲛᲠᲗᲚᲘᲐ „ᲒᲣᲠᲘᲐ“

ᲜᲝᲠᲩᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲘ ᲒᲘᲐ ᲒᲣᲠᲣᲚᲘ — ᲒᲐᲖᲗᲘ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲞᲠᲘᲖᲘᲡ ᲛᲤᲚᲝᲒᲚᲔᲚᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ სპორტის სასახლის სარბიელი ერთი კვირის განმავლობაში ნორჩ ფეხბურთელთა დაბადებული და საინტერესო ბრძოლების მოწმე იყო.

გუშინ მინი-ფეხბურთში რესპუბლიკური პირველობის ბოლო დღეს საასპარეზოდ გამოვიდნენ ჯერ მესამე საპრიზო ადგილის მაძიებელნი — თბილისის „ნორჩი დინამოელი“ და გლდანის № 1 სპორტული სკოლა-ინტერნატის გუნდები. თამაშის ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ — 2:2 (1:1). პენალტების სერიამ გამარჯვება (5:4) მოუტანა დინამოელებს (მწვრთნელები — სპორტის დამსახურებული ოსტატი ს. კოტრიკაძე და ო. გეგეჭკორი).

ბადამწყვეტ მატჩში (მას სჯიდა რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი უ. ფურცელაძე) ერთმანეთს შეხვდნენ ქუთაისის გზნალების განყოფილების გუნდი (მწვრთნელები — სპორტის ოსტატი ი. ლოსაბერიძე და ჯ. ჭალაანია) და ლანჩხუთის „გურია“ (მწვრთნელი შ. პატარაია). ერთადერთმა ბურთმა, რომელიც ქუთაისელთა კარში თემურ ალექსიამ („გურია“) გაიტანა, გამარჯვება და გარდამავალი თასი ლანჩხუთელებს მოუტანა.

„გურიამ“ მოიპოვა კიდევ ერთი პრიზი, როგორც ტურნირის ყველაზე ტექნიკურმა გუნდმა. ჯილდოები გადაეცათ აგრეთვე ქუთაისელ კოტე ნიჭაბაძეს (საუკეთესო მეკარეს), დინამოელ დათო ჯიშიაშვილს (საუკეთესო თავდამსმელს), ქუთაისელ ვახა ალფაიძეს (ყველაზე ტექნიკურ მოთამაშეს), ლანჩხუთელ ნიკოლოზ იმნაძეს (ყველაზე ლამაზი გოლისათვის) და სხვ.

გაზეთ „კომუნისტის“ პრიზი გადაეცა გლდანის ინტერნატის გუნდის ნორჩ თავდამსმელს, 11 წლის გია გურულს (მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ა. ვარდიაშვილი), **რომელმაც ერთ მატჩში** („ავაზასთან“) **6 ბურთი გაიტანა.** სანტერესოა, რომ გ. გურული ნორჩ დინამოელ კ. კარახაძესთან ერთად ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი გახდა — რვა ბურთი თვითეულს.

ი რა გვითხრა ჩვენი გაზეთის ნორჩმა ლაურეატმა გია გურულმა:

— ფეხბურთის თამაში ჰიათურაში ვისწავლე, გლდანის ინტერნატში სექტემბერში მოვედი, ესწავლობ მეხუთე კლასში. მინდა კარგი ფეხბურთელი გამოვიდე და ჩემს საყვარელ გუნდში — თბილისის „დინამოში“ ვითამაშო.

Ო. ᲜᲝᲜᲨᲐᲫᲔ.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ: გაზეთ „კომუნისტის“ პრიზის მფლობელი გია გურული.

Ი. ᲘᲣᲜᲐᲫᲔᲡ ფოტო.

რედაქტორი
Დ. ᲛᲔᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

1 ᲐᲠᲮᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲗ

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — „მხიარული კონცერტი“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — მხატვრული ფილმი „ციცაბო“, 17.05 — მოსწავლეთათვის — რუსული ენა, 17.35 — დოკუმენტური ფილმი „წესრიგი“, (ქართულ ენაზე), 17.50 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — სსრ კავშირის ხალხთა ისტორია, 18.35 — განცხადებები, 18.40 — მოსწავლეთათვის — ლიტერატურულ მუსიკალური კომპოზიცია „დღეს პირველი აპრილია“, 19.20 — „მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.50 — დოკუმენტური ფილმი „მაღალი ნოტი“, 20.00 — „ზოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.30 — გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის საღამო მოსკოვში, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.35 — ქართული მხატვრული ფილმი „თოჯინები იცინიან“ (ფერადი გამოსახულებით),

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲗ

18.05 — რუსული სკოლების მესამეკლასელთათვის — ქართული ენა, 18.35 — დოკუმენტური ფილმი „ჩინგიზ აიტმატოვი“, 18.55 — მერვე-მ